ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 295 (20641) ◆ კვირა, 24 დეკემბერი, 1989 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

დემოკრატიის სამართლებრივი ნორმები

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობა

არ კმარა კარგი კანონების მიღება, საჭიროა, რომ ეს კანონები მოქმედებდეს, მიაჩნია დეპუტატ **ზ. ს. გულოვას.** სამწუხაროდ, არის ბევრი მაგალითი, როცა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები არ სრულდება. ეს იწვევს ამომრჩეველთა სამართლიან უკმაყოფილებას, მოსახლეობის აშკარა უკმაყოფილებას.

გარდაქმნის პროცესში, განსაკუთრებით რესპუბლიკების დამოუკიდებლობის გაფართოებასთან დაკავშირებით, ზოგან ცდილობენ შექმნან თავიანთი სამართლებრივი საფუძვლები, ანგარიშს არ უწევენ საერთო-საკავშირო ინტერესებს. ჩვენი კავშირი ერთიანია, და ხელჩოსავით შენკრენ თუ მითლი, ეს ვერაფერს კარგს ვერ მოიტანს.

ასეთ სიტუაციაში საჭიროა კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტი. ამ ორგანომ, გამოიყენებს რა დიპლომატიურ ხერხებს ამ სიტყვის კარგი გაგებით, უნდა მიაღწიოს საკავშირო და რესპუბლიკური კონსტიტუციების დებულებათა ურთიერთმოქმედებას, უმნიშვნელოვანესი საკითხი კი გამოიტანოს სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე. მან აგრეთვე უნდა შეიმუშაოს და სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს შესთავაზოს კონსტიტუციური ნორმების დაცვის ისეთი ინსტრუმენტი, რომ მათი შეუსრულებლობა შეუძლებელი იყოს.

წამოაყენა რა წინადადება დამტკიცდეს ყრილობის დადგენილება სსრ კავშირში კონსტიტუციური ზედამხედველობის შესახებ, დეპუტატმა გამოთქვა აზრი, რომ მის შემადგენლობაში სავალდებულო წესით უნდა შევიდნენ ყველა მოკავშირე რესპუბლიკის წარმომადგენლები.

ჩვენი ქვეყნისათვის რთულ ხანაში მიმდინარეობს უმნიშვნელოვანესი კანონპროექტების განხილვა, მიაჩნია დეპუტატ **ვ. ა. სტროუხოვს.** ერთი მხრივ, უაღრესად დინამიკურად ვითარდება დემოკრატიზაციის, საჯაროობის, მასების პოლიტიზაციის პროცესები, მეორე მხრივ კი სულ უფრო იზრდება მმართველობის ეკონომიკურ მეთოდებზე გადასვლასთან დაკავშირებული სიძნელეები. საბოლოო ანგარიშით, დარწმუნებულია ორატორი, გარდაქმნის ბედს გადავწყვეტთ არა მიტინგებსა და დემონსტრაციებზე, არამედ წარმოების სფეროში.

გამოთქვა რა შემდეგ შეშფოთება ჩვენი ფედერაციული კავშირის ბედის გამო, მან დამსწრეთ მიმართა კითხვებით, რომლებიც რიტორიკულად არ აღიქმება: რამდენად დიდია ცენტრიდანული ტენდენციები, რა უნდა გავაკეთოთ ერთად, რათა ისინი ცენტრისკენულ ძალებად გადაიქცნენ, რა ხასიათისაა წინააღმდეგობანი, რომლებიც ჩვენს ფედერაციაში წარმოიქმნება, სუბიექტურია ისინი თუ ობიექტური, არაბუნებრივი თუ კანონზომიერი?

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „კომუნისტი“ № 294.

დეპუტატის აზრით, სწორედ ამაში უნდა გავერკვეთ უწინარეს ყოვლისა, რათა კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტმა, რომელიც ახლა იქმნება, მაქსიმალური ეფექტით იმოქმედოს. თუ საჭიროა, მიაჩნია მას, ამ საკითხების განმარტებისათვის უნდა მივიღოთ შესაბამისი საკანონმდებლო აქტები და შევიტანოთ საჭირო ცვლილებები კონსტიტუციაში.

ამასთან საწარმოო გაერთიანება „ციმბირკაბელის“ პარტკომის მდივანმა განაცხადა, რომ საჭიროა შევინარჩუნოთ მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი, პრინციპული დებულებები. მან ისინი შემდეგი თანამიმდევრულობით დაასახელა — საერთო-საკავშირო საკუთრების, საკავშირო კანონების უზენაესობის, საერთო-საკავშირო ენის, ერთიანი არმიის შესახებ.

ორატორმა თქვა, რომ კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის წევრებმა უნდა დადონ ფიცი სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის წინაშე, თვით კანონი კი სამოქმედოდ შემოვიღოთ 1990 წლის 1 იანვრიდან.

ისეთ პრინციპულ, ფუძემდებელ საკითხებში, როგორიცაა კონსტიტუციური ზედამხედველობა, განაცხადა დეპუტატმა **ი. დ. ხადირკამ,** განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ იმას, თუ რა აერთიანებს სხვადასხვა რესპუბლიკების წარმომადგენლებს, ყურად ვიღოთ მიზეზები, რომელთა გამო მათ ახალი ორგანოს შექმნა ნაადრევად მიაჩნიათ. არავინ არ ხდის სადავოს, თქვა მან, რომ არსებითად საჭიროა ასეთი კონსტიტუციური ორგანო, რომელიც შეასრულებს ეროვნებათშორისი ურთიერთობების რეგულირების, ქვეყანაში წესრიგის დამყარების უმაღლესი მექანიზმის როლს, რაც ქვეყანაში მიღწეულ დემოკრატიულ მონაპოვართა გარანტი იქნება.

ორატორმა ამავე დროს გამოთქვა საწინააღმდეგო მოსაზრებანი ქვეყნისათვის ესოდენ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების თანამიმდევრულობის გამო. ჯერ, თქვა მან, უნდა მივიღოთ ახალი კონსტიტუცია, ახალი საკავშირო ხელშეკრულება, რომელიც მოაწესრიგებს თანასწორუფლებიანი და სუვერენული სახელმწიფოების ურთიერთობას, შემდეგ კი ძალაში შევა უმაღლესი საკონსტიტუციო ორგანო, რომელიც კონტროლს გაუწევს ამ განახლებულ ურთიერთობას.

საღამოს სხდომას თავმჯდომარეობდა ა. ი. ლუკიანოვი, რომელმაც თქვა, რომ სარედაქციო კომისიამ დაამთავრა მუშაობა სახალხო დეპუტატთა სტატუსის განმსაზღვრელი საკანონმდებლო აქტების პროექტებთან დაკავშირებულ წინადადებათა განსახილველად.

სიტყვა ინფორმაციისათვის ეძლევა კომისიის თავმჯდომარეს **ნ. დ. პივოვაროვს.** მან თქვა, რომ სულ განხილულია პროექტების 200-ზე მეტი შენიშვნა და წინადადება, რომლებიც თითქმის ასმა სახალხო დეპუტატმა შემოიტანა.

მან დაწვრილებით დაახასიათა კორექტივების არსი, რომელთა პროექტების ტექსტში შეტანაც საჭიროდ ცნო კომისიამ, აგრეთვე ჩამოთვალა დაზუსტებანი, რომლებიც მიუღებლად ან ნაადრევად მიიჩნიეს. სარედაქციო კომისიამ ერთსულოვნად ურჩია ყრილობას მიიღოს სსრ კავშირში სახალხო დეპუტატთა სტატუსის კანონი შეტანილ შესწორებათა გათვალისწინებით. კომისიამ წარმოადგინა სამი წინადადება სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის სტატუსის კანონთან დაკავშირებით. პირველი: ყრილობა იწონებს კანონის პროექტს და ავალებს სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს დახვეწოს იგი ყრილობაზე გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების შესაბამისად. მეორე: მიღებულ იქნეს კანონი იმ სახით, რომლითაც დეპუტატებს დაურიგდა. მესამე: დამუშავდეს დარჩენილი ორი დღის განმავლობაში სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს შესაბამისი კომიტეტების ძალებით და წარმოდგენილ იქნეს ყრილობის მუშაობის დამთავრების დღეს კენჭისყრისათვის.

რაც შეეხება სახალხო დეპუტატის გაწვევის წესის სარეგულირებელი დოკუმენტის პროექტს, აქ კომისია შეეხო ორ ვარიანტს, რომელთაგან ერთ-ერთი უნდა ამოირჩიოს ყრილობამ, — ან მიიღოს კანონი დეპუტატთა გაწვევის წესის შესახებ დღეს, ანდა გადადოს საკითხის საბოლოო გადაწყვეტა მესამე ყრილობამდე.

შემდეგ ყრილობა გადადის სსრ კავშირში სახალხო დეპუტატთა სტატუსის კანონპროექტის მიღებაზე. ჯერ კენჭისსაყრელად გამოაქვთ მუხლები, რომლებზეც არის სარედაქციო კომისიისა და დეპუტატების შესწორებანი; ელექტრონული ტაბლო მოწმობს: გადაწყვეტილება მიღებულია. შემდეგ მიმდინარეობდა კენჭისყრა მთლიანად კანონის პროექტის გამო. ხმის უმრავლესობით კანონი მიიღეს.

შემდეგი კანონპროექტია სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის გაწვევის წესის შესახებ. მიღებული დადგენილებით განისაზღვრა გაეგზავნოს იგი დასახვეწად სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს, რათა შემდეგ გამოიტანონ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მესამე ყრილობის განსახილველად.

ყრილობა გადადის სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის სტატუსის კანონის პროექტის განხილვაზე. შემოსვლის წესით კენჭს უყრიან პირველ წინადადებას — მოიწონონ კანონპროექტი, დაავალონ სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს დახვეწოს იგი შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით და მიიღოს კანონი. ყრილობა ხმის უმრავლესობით იღებს დადგენილებას ამის შესახებ.

ყრილობა დაუბრუნდა სსრ კავშირში კონსტიტუციური ზედამხედველობის კანონის პროექტის განხილვას.

დეპუტატმა **ა. აკაევმა** საღამოს სხდომაზე გამოსვლისას აღნიშნა, რომ გადაწყვეტილების მიღებისას სახალხო დეპუტატები უნდა ხელმძღვანელობდნენ კავშირის ინტერესებით, სოციალისტური ფედერაციის განმტკიცების პრიორიტეტით.

პირველ ყრილობაზე, განაგრძო ყირგიზეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, ჩვენ საჭიროდ ვცანით ჩვენი სახელმწიფოს ფედერაციული წყობის სრულყოფა, მისთვის რეალური პოლიტიკური და ეკონომიკური შინაარსის მინიჭება. და ამ გადაწყვეტილებას ვახორციელებთ.

კანონპროექტი საგულდაგულოდ არის დამუშავებული, დროულია, ერთობ დემოკრატიულია მოკავშირე რესპუბლიკების მიმართ, თქვა მან, და ყრილობამ მოუწოდა გამოიჩინონ სიბრძნე, მიიღონ ეს კანონი და შეადგინონ კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტი, რაც, მისი აზრით, ხელს შეუწყობს სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას, სსრ კავშირის განმტკიცებას.

დეპუტატმა **გ. კ. კრიუჩკოვმა** თქვა, რომ იგი მონაწილეობდა განსახილველი დოკუმენტის მოსამზადებელი კომისიის მუშაობაში, და აღნიშნა, რომ მის წევრთაგან, რომლებიც ყველა მოკავშირე რესპუბლიკას წარმომადგენლობდნენ, არც ერთს არ გამოუთქვამს ეჭვი ამ საკითხის მეორე ყრილობაზე გამოტანის მიზანშეწონილობის გამო. იგი არ დაეთანხმა ზოგიერთი დეპუტატის წინადადებას არ შექმნან ახლა კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტი. ასეთი გადაწყვეტილების მიღების საბაბი ჩვენ არა გვაქვს. კომიტეტის შექმნა, რომელიც გააერთიანებს პოლიტიკისა და სამართლის დარგის სპეციალისტებს ყველა მოკავშირე რესპუბლიკიდან, მისი მუშაობის დემოკრატიული, საჯარო პრინციპები იმის საწინდარია, რომ სუვერენული რეგიონების უფლებების არავითარი შელახვა არ დაიშვება.

ჩვენს ფედერაციას, ხაზი გაუსვა ორატორმა, სერიოზული განსაცდელი დაუდგა, და საჭიროა თავი შევიკავოთ ჩვენი კავშირის დარღვევის ყოველგვარი ცდისაგან. თუ ახლა არ მივიღეთ კონსტიტუციური ზედამხედველობის კანონი, გადავდეთ კომიტეტის არჩევა ახალი კონსტიტუციის დამტკიცებამდე, ჩვენ სულ ცოტა ერთი წლით გავახანგრძლივებთ არანორმალურ მდგომარეობას, როდესაც ვერავის შეეძლება განახორციელოს ზედამხედველობა იმისადმი, თუ რამდენად შეესაბამება კონსტიტუციას მრავალი ნორმატიული აქტი, რომლებსაც უწყებები გამოსცემენ. დაუშვებელია, რომ ყრილობისა და სესიის მიერ მიღებული კანონები დავაუძლუროთ და არსი გამოვაცალოთ ქვეკანონიერი აქტებით.

ჩვენ ვაშენებთ ახალ სახლს — სოციალისტურ სამართლებრივ სახელმწიფოს. კომიტეტის შექმნა, დაასკვნა დეპუტატმა, ამ მშენებლობის დიდმნიშვნელოვანი ეტაპია. ნუ დავემსგავსებით იმ გლეხკაცს, რომელმაც სახლი ააშენა, მაგრამ აღარ გადახურა, ვაითუ კრამიტი თავზე დამეცესო. უმჯობესია მივბაძოთ მისი მეზობლის რჩევას, რომელმაც შესთავაზა მკვიდრად დაეწყო კრამიტი.

იმისათვის, რომ გადავწყვიტოთ, თუ რაოდენ აუცილებელია ახლა კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტი, უწინარეს ყოვლისა, ნათლად უნდა შევიგნოთ, რამდენად შეუძლია ამ ორგანოს იმუშაოს პოლიტიკური სისტემის რეფორმის სასიკეთოდ, თქვა დეპუტატმა **ხ. გ. შაფხაევმა.** მოკლე გამოსვლაში იგი შეეცადა დაესაბუთებინა თავისი ნეგატიური დამოკიდებულება მეორე ყრილობაზე კანონის მიღებისადმი.

ჯერ ერთი, თქვა მან, კომიტეტის პერსონალური შემადგენლობა ფართოდ არ განგვიხილავს. მაშასადამე, სახალხო დეპუტატებს მოუწევთ „ბრმად“ უყარონ კენჭი მას. მეორე, კონსტიტუციური ნორმების დაცვის ახლანდელი დონის პირობებში, როდესაც უზენაეს საბჭოშიც კი ვერ წყდება ზოგჯერ ყველაზე აუცილებელი სამართლებრივი საკითხები, ასეთი ორგანოს შემოღება ნაადრევი იქნებოდა.

ორატორმა წამოაყენა კანონის პროექტზე მუშაობის თავისი ვარიანტი. ჯერ სსრ კავშირის უზენაესმა საბჭომ უნდა განიხილოს კომიტეტში ასარჩევად წამოყენებული თითოეული კანდიდატურა, და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება, მისი აზრით, გადავიდნენ მთლიანად კანონის პროექტის განხილვაზე.

სამართლებრივი სახელმწიფოსაკენ მიმავალ ძნელ გზაზე, რომელსაც ჩვენ ახლახან დავადექით, ყველა სხვა საკანონმდებლო აქტთან შედარებით კონსტიტუციის პრიმატის საკითხს უაღრესად სერიოზული მნიშვნელობა აქვს, ხაზი გაუსვა დეპუტატმა **ა. მ. იაკოვლევმა.** მან დეპუტატებს შეახსენა, რომ ჩვენი კონსტიტუცია მრავალი წლის მანძილზე იყო მხოლოდ და მხოლოდ დეკლარაცია, რომელიც ვერ ხორციელდებოდა.

ორატორმა განიხილა წარმოდგენილი კანონის პროექტი, გაითვალისწინა სავალალო გამოცდილება და ყურადღება მიაპყრო კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის საქმიანობის ორ ასპექტს. პირველი — ეს არის რესპუბლიკის სუვერენიტეტისა და კავშირის სუვერენიტეტის თანაფარდობის საკითხი, საკავშირო ორგანოს კომპეტენციისა და მოკავშირე რესპუბლიკების კომპეტენციის საკითხი. ორატორმა მხარი დაუჭირა იმას, რომ კომიტეტი იცავდეს სუვერენიტეტს იმ ზომით, რომელიც გარანტირებული

(გაგრძელება მე-2 გვ.).

რეპორტაჟი ყრილობიდან

როგორი სახელმწიფოს აგება გვსურს?

ამ კითხვაზე პასუხი სავსებით ნათელია: ცხადია, უწინარეს ყოვლისა სამართლებრივი, ისეთი სახელმწიფოსი, სადაც უკანონობა ვერ იბოგინებს. მაგრამ ამ გზაზე ძალზე ბევრი დაბრკოლებაა. მათ შორის ერთ-ერთი უმთავრესი: ჯერჯერობით ვერა და ვერ ვისწავლეთ ისეთი კანონების შემუშავება და მიღება, რომლებსაც რამდენიმე წლის შემდეგ შეცვლა არ სჭირდებოდეს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჯერ კიდევ შორს ვართ სტაბილური კანონშემოქმედებისაგან. მეორე დაბრკოლება: ვერ ვახერხებთ ზუსტად შევასრულოთ არსებული კანონმდებლობა. ვინ არ იცის, რომ ჩვენი ქვეყნის კანონთა კრებულში არცთუ ცოტაა ისეთი კანონები, რომლებიც დიდი ხნის მანძილზე მკვდარი იყო, ფაქტობრივად არ სრულდებოდა. აი, სწორედ ეს უკანასკნელი გარემოებაა, თუმცა, რა თქმა უნდა, არა ერთადერთი მიზეზი იმისა, რომ ჩვენს ქვეყანაში დამნაშავეობა მნიშვნელოვნად მატულობს. მისი ყველაზე საშიში გამოვლინებაა ორგანიზებული დამნაშავეობა, რომლის გამომწვევი მიზეზები და აღმოფხვრის გზები განიხილეს 22 და 23 დეკემბერს საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე. ამ საკითხზე თანამოხსენებებმა, რომლებიც საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრმა ვ. ბაკატინმა და საბჭოთა კავშირის გენერალურმა პროკურორმა ა. სუხარევმა გააკეთეს, დიდი დავა-კამათი გამოიწვია, რომლის დროსაც, სხვათა შორის, ისევე როგორც ბევრი სხვა საკითხის განხილვისას, ყრილობაზე მკაფიოდ გამოვლინდა შეფასებათა დიდი პოლარიზაცია.

იმაზე, თუ რაოდენ დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს ყრილობაზე განსახილველად გამოტანილ საკითხს, შეგვიძლია თუნდაც იმ გამოკითხვის მონაცემებით ვიმსჯელოთ, რომელიც სახალხო დეპუტატთა ჯერ კიდევ პირველ ყრილობაზე მოაწყო სოციოლოგიურმა სამსახურმა. მაშინ კითხვაზე: „მთლიანად ქვეყნის მასშტაბით რომ ვთქვათ, რომელია უმნიშვნელოვანესი საკითხი ამჟამად?“, გამოკითხულთა 56 პროცენტმა მეორე ადგილზე დააყენა წესრიგი და კანონიერება, ხოლო პირველზე — უფრო მაღალი ცხოვრების დონის მიღწევა (74 პროცენტით).

და აი, ახალი სოციოლოგიური გამოკითხვა, ამჟამად უკვე სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობაზე. კითხვაზე: „შეიცვალა თუ არა საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა პირველიდან მეორე ყრილობამდე ვითარება ჩვენს ქვეყანაში სახელმწიფოს სამართლებრივი საფუძვლების, მართლწესრიგის, სოციალისტური კანონიერების განმტკიცების, სოციალური სამართლიანობის პრინციპის დაცვის მხრივ?“, პასუხები ასე განაწილდა: გაუმჯობესდა — 11 პროცენტი, ისევ ისეა — 41 პროცენტი, გაუარესდა — 36 პროცენტი.

რიგიანად ვერ ვაშენებთ ჯერჯერობით სამართლებრივ სახელმწიფოს... და თუმცა თანამომხსენებლები ყოველნაირად ცდილობდნენ გამოენახათ ორგანიზებული დამნაშავეობის ზრდის ძირითადი მიზეზები თავიანთი უშუალო საქმიანობის სფეროს ფარგლებს გარეთ, ძნელია არ ვაღიაროთ, რომ მრავალი თვალსაზრისით სწორედ სამართალდამცავი ორგანოების ნაკლებად ეფექტიანმა მუშაობამ გამოიწვია ამ ბოლო წლებში გამომძალველობის, კორუფციისა და სხვა მძიმე სამართალდარღვევათა ბუმი.

მაგრამ ობიექტურობა მოითხოვს ისიც ვთქვათ, რომ არა მარტო სამართალდამცავ ორგანოებში და უწინარესად პროკურატურის ორგანოებში გარდაქმნის შეყოვნებაა იმის მიზეზი, რომ ორგანიზებული დამნაშავეობის მრუდი ზემო-ზემოთ მიიწევს. ეს მნიშვნელოვანწილად ჩვენი ეკონომიკის სავალალო მდგომარეობის ბრალია. დამეთანხმებით, რომ ტოტალური დეფიციტის სამყაროში ძნელია დიდად ეფექტიანად ებრძოლო ორგანიზებულ დამნაშავეობას. იმაში კი, რომ სახალხო დეპუტატთა ორ ყრილობას შორის პერიოდში ჩვენი ეკონომიკის დონე კატასტროფულად ქვეითდებოდა, გვარწმუნებს იმ სოციოლოგიური გამოკითხვის მონაცემები, რომელიც დეპუტატთა შორის მოეწყო. კითხვაზე: „როგორ აფასებთ ეკონომიკის მდგომარეობას, ხალხის ცხოვრების დონესა და მატერიალურ მდგომარეობას ყრილობებს შუა პერიოდში?“, გამოკითხულებმა ასე უპასუხეს: გაუმჯობესდა — 3 პროცენტი, ისევ ისეა — 25 პროცენტი, გაუარესდა — 65 პროცენტი.

ვ. ბაკატინის მოხსენებიდან: „ორგანიზებული დამნაშავეობის მასაზრდოებელი გარემოა ფარული ეკონომიკა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ვითარდება უპატრონობის, მსხვილი დატაცებებისა და სპეკულაციის ნიადაგზე“.

როგორ მოვერიოთ ფარულ ეკონომიკას? ალბათ, მხოლოდ საბაზრო, სამინისტროთა და უწყებათა დიქტატისაგან თავისუფალი, ცენტრის დიქტატისაგან თავისუფალი ეკონომიკის მეშვეობით. მაგრამ ეკონომიკის ასეთ განვითარებას ძალზე მცირე „საარსებო სივრცეს“ უტოვებს საბჭოთა კავშირის მთავრობის მიერ წარმოდგენილი და ყრილობის მიერ მოწონებული პროგრამა. მაშ, მოჯადოებული წრე იქმნება? საკმაოდ კომპეტენტურად არ მიმაჩნია ჩემი თავი იმისათვის, რომ გავბედო და ნათელი პასუხი გავცე ამ კითხვას, ამიტომ მხოლოდ მის აღძვრას დავჯერდები. დაე, ეს იყოს ამაზე მსჯელობის საყრდენი წერტილი.

ჰოდა, სანამ ფარული ეკონომიკა თავს კარგად გრძნობს, საეჭვოა ძირფესვიანი გარდატეხა მოხდეს ჩვენს მაფიასთან ბრძოლაში. ეს აღიარა საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრმაც, რომელმაც ყრილობის სხდომათა შორის შესვენებისას გამართულ პრეს-კონფერენციაზე კითხვაზე პასუხის გაცემისას თქვა, უახლოესი წლების მანძილზე ჩვენს ქვეყანაში მოსალოდნელიაო დამნაშავეობის ზრდა.

23 დეკემბერს სახალხო დეპუტატთა ყრილობის დილის სხდომაზე თავის მწვერვალს მიაღწია კამათმა იმ საკითხზე, დროულია თუ არა ამჟამად საბჭოთა კავშირის კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის შექმნა. ამ კამათმა ერთხელ კიდევ გვიჩვენა, თუ რა ძნელად მივიწევთ წინ სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის გზით.

სარედაქციო კომისიის მხრივ დახვეწისა და არსებითი შესწორებების შეტანის შემდეგ „საბჭოთა კავშირში კონსტიტუციური ზედამხედველობის შესახებ“ კანონის პროექტი ყრილობამ მიიღო. საბჭოთა კავშირის კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის წევრობის კანდიდატებმა ესტონეთისა და ლიტვის სს რესპუბლიკებისაგან უარი სთქვეს მის შემადგენლობაში კენჭისყრაზე.

და კიდევ ერთი რამ, რასაც, სხვათა შორის, ასევე უშუალო დამოკიდებულება აქვს სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის საკითხთან. როგორც იცით, ყრილობის მუშაობის პირველ დღეს ფოიეში დეპუტატებს შორის გაავრცელეს სტამბურად დაბეჭდილი, მაგრამ ხელმოუწერელი ფურცელი, რომელიც ფრიად ტენდენციურად მოითხოვდა „სიმართლეს“ თბილისის აპრილის ამბების თაობაზე. 22 დეკემბერს პრეს-კონფერენციაზე, რომელიც ყრილობის სხდომათა შორის შესვენებისას გაიმართა, თქვენმა კორესპონდენტმა საბჭოთა კავშირის გენერალურ პროკურორს ა. სუხარევს სთხოვა ეპასუხა, თუ როგორ აფასებს ყრილობაზე ზემოქმედების ამ ფაქტს. პასუხი ნათელი იყო. გენერალურმა პროკურორმა ბრძანა, რომ იგი გმობს ამგვარ მოქმედებას, ვისი ჩადენილიც უნდა იყოს იგი.

მეორე დღეს კი, 23 დეკემბერს, ფოიეში კვლავ დაუბრკოლებლად ვრცელდებოდა იგივე ანონიმური ფურცელი, რომელსაც დაემატა კიდევ ერთი, ასევე სტამბურად დაბეჭდილი და ასევე ანონიმური, თანაც ფრიად უწიგნურად დაწერილი. ეს ფურცელი კიდევ უფრო მკაცრად აფასებდა საქართველოში 9 აპრილის შემდეგ შექმნილი სიტუაციის პოლიტიკურ პროგნოზებს. ვიღაც კვლავ განაგრძობს დეპუტატებზე ზემოქმედებას. მაშ, რომელ სახელმწიფოს ვაშენებთ? ნუთუ უფრო სამართლებრივს?

ირაკლი ინაშვილი,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის დადგენილება

ზოგიერთ კონსტიტუციურ საკითხზე სსრ კავშირის უზენაესი საბჭოსა და საკონსტიტუციო კომისიისადმი დავალებების შესახებ

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობა **ადგენს:**

1. დაევალოს სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს დააჩქაროს საკუთრების, მიწის, სოციალისტური საწარმოს, საგადასახადო სისტემის შესახებ, მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში ეკონომიკისა და სოციალური სფეროს ხელმძღვანელობის ზოგადი საწყისების, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ, თვითმმართველობისა და ადგილობრივი მეურნეობის ზოგადი საწყისების შესახებ კანონთა მიღება და წარუდგინოს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მორიგ ყრილობას განსახილველად წინადადებანი სსრ კავშირის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) ამასთან დაკავშირებით ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.

შესაძლებლად იქნეს მიჩნეული აღნიშნული კანონების ამოქმედება სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მორიგ ყრილობაზე სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მიერ მოწონებული სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისი ცვლილებებისა და დამატებების განხილვამდე.

2. საჭიროდ იქნეს მიჩნეული, რომ საკონსტიტუციო კომისიამ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატების მიერ შემოტანილი წინადადებების გათვალისწინებით უპირველეს ყოვლისა დაამუშაოს სსრ კავშირის მოქმედი კონსტიტუციის იმ მთელი რიგი დებულებების შეცვლის საკითხები, რომლებიც არეგულირებენ პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემების საფუძვლებს, სსრ კავშირის ეროვნულ-სახელმწიფო წყობილებას, და თავისი წინადადებანი სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მიერ მათი განხილვის შემდეგ წარადგინოს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის დასამტკიცებლად.

3. საკონსტიტუციო კომისიამ შეძენილი გამოცდილებისა და სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა წინადადებების შესაბამისად წინასწარ მოამზადოს და სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს წარუდგინოს ყრილობაზე სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მორიგ არჩევნებამდე განსახილველად სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ ახალი კანონის პროექტი და დასახელებული კანონის ძალაში შესვლისათვის სსრ კავშირის კონსტიტუციის საჭირო ცვლილებანი.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
მ. გორბაჩოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1989 წლის 19 დეკემბერი.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის

კანონი

საარჩევნო სისტემის საკითხებზე სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ცვლილებათა და დამატებათა შესახებ

საარჩევნო სისტემის შემდგომი სრულყოფის მიზნით სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობა **ადგენს:**

შეტანილ იქნეს სსრ კავშირის კონსტიტუციაში შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი:

1. მე-12 თავში „სახალხო დეპუტატთა საბჭოების საქმიანობის სისტემა და პრინციპები“:

მუხლი 89 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: —

„**მუხლი 89.** სახალხო დეპუტატთა საბჭოები — სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობა და სსრ კავშირის უზენაესი საბჭო, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო დეპუტატთა ყრილობები, უზენაესი საბჭოები, ავტონომიური ოლქების, ავტონომიური ოკრუგების, სამხარეო, საოლქო და სხვა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების სახალხო დეპუტატთა საბჭოები — სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების ერთიან სისტემას შეადგენენ“;

90-ე მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს ორ ნაწილად შემდეგი რედაქციით:

„სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნები ინიშნება არაუგვიანეს ოთხი თვისა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე.

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო დეპუტატების, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დანიშვნის ვადები და წესი განისაზღვრება მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონებით“;

91-ე მუხლის მეორე, მესამე და მეოთხე ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უზენაეს საბჭოებს ირჩევენ უშუალოდ ამომრჩევლები, ხოლო იმ რესპუბლიკებში, სადაც გათვალისწინებულია ყრილობების შექმნა, — სახალხო დეპუტატთა ყრილობები. სსრ კავშირის კონსტიტუციის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციების შესაბამისად იქმნება სახალხო დეპუტატთა უზენაესი საბჭოებისა და ადგილობრივი საბჭოების პრეზიდიუმები, ირჩევენ საბჭოების თავმჯდომარეებს.

სახალხო დეპუტატთა საბჭოები ქმნიან კომიტეტებს, მუდმივ კომისიებს, აღმასრულებელ და განმკარგულებელ, აგრეთვე სხვა მათ წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოებს.

თანამდებობის პირნი, რომლებსაც ირჩევენ ან ნიშნავენ სახალხო დეპუტატთა საბჭოები, გარდა მოსამართლეებისა, ვერ დარჩებიან თავიანთ თანამდებობებზე ზედიზედ ორ ვადაზე მეტ ხანს“.

2. მე-13 თავში „საარჩევნო სისტემა“:

95-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 95.** სახალხო დეპუტატთა არჩევნები ეწყობა ერთმანდატიან ან მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქებში საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით.

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო დეპუტატთა ნაწილი, თუ ეს გათვალისწინებულია რესპუბლიკების კონსტიტუციით, შეიძლება არჩეულ იქნეს საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან“;

96-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საარჩევნო ოლქებისაგან სახალხო დეპუტატთა არჩევნები საყოველთაოა — არჩევის უფლება აქვთ სსრ კავშირის მოქალაქეებს, რომლებსაც შეუსრულდათ 18 წელი.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატად შეიძლება არჩეული იყოს სსრ კავშირის მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა 21 წელი“;

96-ე მუხლის მეხუთე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„არჩევნებში არ მონაწილეობენ ფსიქიკურად ავადმყოფი მოქალაქეები, რომლებიც სასამართლომ არაქმედუნარიანად ცნო, პირნი, რომლებიც სასამართლოს განაჩენით თავისუფლების აღკვეთის ადგილებში არიან. კენჭისყრაში არ მონაწილეობენ პირნი, რომელთა მიმართ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით, არჩეულია აღკვეთის ღონისძიება — პატიმრობაში ყოფნა“;

96-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მეექვსე ნაწილი:

„როგორიც უნდა იყოს, სსრ კავშირის მოქალაქეთა საარჩევნო უფლებების პირდაპირი ან არაპირდაპირი შეზღუდვა დაუშვებელია და ისჯება კანონით“;

97-ე მუხლის მეორე ნაწილი და 98-ე მუხლის მეორე ნაწილი ამოღებულ იქნეს;

მე-100 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 100.** საარჩევნო ოლქებში სახალხო დეპუტატობის კანდიდატთა დასახელების უფლება აქვთ შრომით კოლექტივებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების კოლექტივებს, ამომრჩეველთა კრებებს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და სამხედრო მოსამსახურეთა კრებებს ჯარის ნაწილებში. ორგანოები და ორგანიზაციები, რომლებსაც აქვთ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან სახალხო დეპუტატობის კანდიდატთა დასახელების უფლება, განისაზღვრება შესაბამისად სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონებით.

სახალხო დეპუტატობის კანდიდატთა რიცხვი არ იზღუდება. წინასაარჩევნო კრების ყოველ მონაწილეს შეუძლია განსახილველად წამოაყენოს ნებისმიერი კანდიდატურა, მათ შორის საკუთარიც.

საარჩევნო ბიულეტენებში შეიძლება შეტანილი იყოს კანდიდატთა ნებისმიერი რიცხვი.

სახალხო დეპუტატობის კანდიდატები მონაწილეობენ საარჩევნო კამპანიაში თანასწორ საფუძველზე.

სახალხო დეპუტატობის თითოეული კანდიდატისათვის თანასწორი პირობების უზრუნველყოფის მიზნით სახალხო დეპუტატთა არჩევნების მომზადებასთან და ჩატარებასთან დაკავშირებულ ხარჯებს გაიღებს შესაბამისი საარჩევნო კომისია სახელმწიფოს, აგრეთვე საწარმოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მოქალაქეების ნებაყოფლობითი შენატანების ხარჯზე შექმნილი ერთიანი ფონდიდან.

101-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„არჩევნების ჩატარებას უზრუნველყოფენ საარჩევნო კომისიები, რომლებიც იქმნება შრომითი კოლექტივების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების კოლექტივების კრებების (კონფერენციების), საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩეველთა და ჯარის ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა კრებების მიერ არჩეული წარმომადგენლებისაგან.

სსრ კავშირის მოქალაქეებს, შრომით კოლექტივებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების კოლექტივებს, სამხედრო მოსამსახურეებს ჯარის ნაწილებში გარანტირებული აქვთ შესაძლებლობა თავისუფლად და ყოველმხრივ განიხილონ სახალხო დეპუტატობის კანდიდატთა პოლიტიკური, საქმიანი და პირადი თვისებები, აგრეთვე კანდიდატის სასარგებლოდ ან წინააღმდეგ აგიტაციის უფლება კრებებზე, პრესაში, ტელევიზიით, რადიოთი“.

3. მე-17 თავში „მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოები“:

137-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 137.** მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებია მოკავშირე რესპუბლიკების უზენაესი საბჭოები, ხოლო იმ მოკავშირე რესპუბლიკებში, სადაც გათვალისწინებულია ყრილობების შექმნა, — სახალხო დეპუტატთა ყრილობები“;

138-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 138.** მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების უფლებამოსილება, სტრუქტურა და საქმიანობის წესი განისაზღვრება მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციებითა და კანონებით“;

139-ე მუხლის მეორე ნაწილი ამოღებულ იქნეს.

4. მე-18 თავი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თავი 18. ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოები.

მუხლი 143. ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებია ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოები, ხოლო იმ ავტონომიურ რესპუბლიკებში, სადაც გათვალისწინებულია ყრილობების შექმნა, — სახალხო დეპუტატთა ყრილობები.

მუხლი 144. ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ქმნის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს — ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას — ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს აღმასრულებელ და განმკარგულებელ ორგანოს“.

5. მე-19 თავში „სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოები“ 145-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 145.** სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს ავტონომიურ ოლქებში, ავტონომიურ ოკრუგებში, მხარეებში, ოლქებში, რაიონებში, ქალაქებში, ქალაქების რაიონებში, დაბებში, სასოფლო დასახლებულ პუნქტებსა და სხვა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში, რომლებიც იქმნება მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონების შესაბამისად, წარმოადგენენ შესაბამისი სახალხო დეპუტატთა საბჭოები“.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
მ. გორბაჩოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1989 წლის 20 დეკემბერი.

მიმართვა რუმინელ ხალხს

რუმინეთის სვე-ბედის ამ გარდამტეხ მომენტში სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობა აცხადებს, რომ მტკიცედ უჭერს მხარს რუმინელი ერის სამართლიან საქმეს.

ჩვენ აღვუთქვამთ რუმინეთის მოქალაქეებს, რომ მეგობრობისა და კეთილმეზობლობის ტრადიციული გრძნობებით ვეკიდებით და ვადასტურებთ, რომ გულწრფელად ვესწრაფვით მჭიდრო თანამშრომლობას სოციალიზმისა და მშვიდობის საკეთილდღეოდ.

საკდესის განცხადება

ბუქარესტიდან მოდის საგანგაშო ცნობები, რომ ქალაქის მთელ რიგ რაიონებში გრძელდება შეიარაღებული შეტაკებანი. ქვეყანაში მიმდინარე ცვლილებების მოწინააღმდეგეთა ჯგუფები უტევენ რუმინეთის რადიოსა და ტელევიზიის შენობას, სადაც რუმინეთის ეროვნული ხსნის ფრონტის საბჭოს წევრები გამაგრდნენ. ამ ფორმირებათა მოქმედების შედეგად ინტენსიური სროლის ზონაში აღმოჩნდა საცხოვრებელი სახლი, სადაც არიან საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობის თანამშრომელთა ოჯახები. შეიარაღებული პირნი შენობაში შეიჭრნენ და იქიდან ეწევიან ინტენსიურ სროლას. სახლში იფეთქა ხანძარმა, სერიოზული საფრთხე შეიქმნა საბჭოთა ადამიანების სიცოცხლეს, რომელთა შორის არიან ქალები და ბავშვები.

საბჭოთა კავშირში გულგრილნი ვერ დარჩებიან საბჭოთა მოქალაქეების ბედის გამო, და მოითხოვენ იმათგან, ვინც აღნიშნული მოქმედება გაჩაღა და საფრთხეში აგდებს საბჭოთა ადამიანების სიცოცხლეს, დაუყოვნებლივ შეწყვიტონ ეს მოქმედება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დემოკრატიის სამართლებრივი ნორმები

(გაგრძელება)

აქვთ მოკავშირე რესპუბლიკებს ფედერალური სახელმწიფოს ფარგლებში. შეეხო რა კომიტეტის საქმიანობის მეორე ასპექტს, დეპუტატმა თქვა, რომ ჩვენში ახლად შექმნილ საკანონმდებლო ხელისუფლებას არა აქვს საკმარისი გარანტიები ფსევდონორმათშემოქმედებისაგან, რომელსაც აღმასრულებელი ორგანოები ეწეოდნენ. მრავალი აქტი, რომლებიც გამოსცეს სამინისტროებმა და უწყებებმა, მათ შორის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომაც, დაბლას სცემს კანონებს. მეცნიერს კომიტეტის მთავარ როლად მიაჩნია სწორედ კანონის გამაიგივებელი მსგავსი აქტების განხილვა.

საკმარისად იყო თუ არა დაცული კანონით ოქტომბრის მონაპოვრები სოციალისტური სახელმწიფოს მთელი ისტორიის მანძილზე? ამ, ერთგვარი რიტორიკული კითხვით დაიწყო გამოსვლა დეპუტატმა **მ. ი. უმარხოჯაევმა.** ხომ ცნობილია, რა მოხდა ქვეყანაში 1936 წლის კონსტიტუციის მიღების უკვე ერთი წლის შემდეგ. მოქმედი ძირითადი კანონის უგულებელყოფა, მისი ჰუმანური დებულებების იგნორირება, თქვა ორატორმა, დიდხანს გრძელდებოდა. საზოგადოებაში სამართლებრივი შეგნების დეფიციტი იცვლებოდა დირექტივებითა და ინსტრუქციებით, რომლებიც კონტროლს არ ექვემდებარებოდა. სწორედ ამიტომაც, თქვა დეპუტატმა, ასე საჭიროა ახლა შეიქმნას სსრ კავშირის კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტი.

აღნიშნა რა, რომ ამ ღონისძიებას დიდი მნიშვნელობა ექნება ნამდვილი სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირებისათვის, ორატორმა მომავალი ორგანო დაახასიათა როგორც ძალაუფლების განაწილებისა და ჩვენს პოლიტიკურ მექანიზმში საჭირო დაბრკოლებათა შექმნის განგრძობის ქმედითი ინსტრუმენტი.

მთლიანად მოიწონა რა შეთავაზებული კანონპროექტი, ორატორმა მთელი რიგი შენიშვნები გამოთქვა მისი შინაარსის გამო. მაგალითად, მან წინადადება წამოაყენა კონსტიტუციური ზედამხედველობის უმნიშვნელოვანეს მიზნად განისაზღვროს პიროვნების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა. პირველ ადგილზე უნდა იდგეს ადამიანი და არა დოკუმენტი. აღინიშნა აგრეთვე, რომ საჭიროა ზედამხედველობის საგნად გავითვალისწინოთ საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებთან ჩვენი საკანონმდებლო აქტების შესაბამისობა, კომიტეტის შემადგენლობის ზედმეტი როტაციის მიზანშეუწონლობა.

დეპუტატი **ვ. პ. ივანოვი** შეეხო მთელ რიგ რესპუბლიკებში სსრ კავშირის კონსტიტუციის დაუცველობის ზოგიერთ ასპექტს, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენენ იმაზე, რომ სამხედრო მოსამსახურეები ნორმალურად ასრულებდნენ თავიანთ სამსახურებრივ მოვალეობას. მან ხაზი გაუსვა, რომ უკანასკნელ ხანს ზოგან იძულებული ხდებიან ურთიერთობა იქონიონ ნაციონალიზმისა და ექსტრემიზმის აშკარა ძალებთან, რომლებსაც ხელი არ აუღიათ იმის ცდებზე, რომ ერთმანეთს წაჰკიდონ არმია და ხალხი, ძირი გამოუთხარონ სამშობლოს თავდაცვისუნარიანობას.

ადმირალმა სთხოვა დამსწრეთ მხარი დაუჭირონ სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს წინადადებას გაწვევა და ნამდვილი სამხედრო სამსახურიდან დათხოვნა გამოაცხადონ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს ბრძანებულებით ან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, რათა იგი სავალდებულო იყოს ქვეყნის ყველა რეგიონისათვის. დეპუტატმა განაცხადა, რომ მხარს უჭერს შეიქმნას საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ კანონის შესრულების უზრუნველყოფისა და სამხედრო სამსახურისაგან თავის არიდებისათვის მკაცრი პასუხისმგებლობის საიმედო სამართლებრივი მექანიზმი.

ორატორმა წინადადება წამოაყენა შეიქმნას ყრილობის კომისია ან დაევალოს კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტს განიხილონ მიღებული დადგენილებების, გადაწყვეტილებების, კანონებისა და სხვა აქტების მართლზომიერება, რომლებიც ხელს უთხრიან და ლახავენ სამხედრო მოსამსახურეთა უფლებებს. მას საჭიროდ მიაჩნია სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს დაევალოს, რომ განიხილოს ჩვენი სახელმწიფოს თავდაცვითი პოლიტიკა და მომზადოს საკანონმდებლო აქტების შესაბამისი პროექტები, რომლებსაც სახალხო დეპუტატთა მესამე ყრილობას წარუდგენენ.

შეაფასა რა კანონი სსრ კავშირში კონსტიტუციური ზედამხედველობის შესახებ, დეპუტატმა **უ. მ. სულთანგაზინმა** განაცხადა, რომ ამ დოკუმენტმა, უწინარეს ყოვლისა, უნდა განამტკიცოს საბჭოთა ფედერაცია და მისი დემოკრატიული საფუძვლები. მისი მიღების შედეგად ჩვენში გაჩნდება ორგანო, რომელიც ხელს შეუწყობს სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნას. და ეს, მიაჩნია ყაზახეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, სასურველია აისახოს კანონპროექტის იმ მუხლში, რომელშიც ლაპარაკია შესაქმნელი კომიტეტის მიზნებსა და ამოცანებზე.

ჩვენი ფედერაცია, თქვა შემდეგ ორატორმა, წყობილებით რთული სახელმწიფო სისტემაა. და სტაბილურად იგი განვითარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ იქნება შინაგანი წინააღმდეგობანი. დეპუტატის აზრით, ამას იმით მივაღწევთ, თუ მივიღებთ სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამის შესწორებებს, ქვეყნის კანონებს, მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციებს. როგორც ორატორმა თქვა, წინათ მკვიდრდებოდა სსრ კავშირის კონსტიტუციისა და კანონების უთუო უზენაესობა მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციებისა და კანონებისადმი, რაც ხშირად ზღუდავდა ამ უკანასკნელთა სუვერენულ უფლებებს.

აღიარა რა ისეთი ორგანოს შექმნის საჭიროება, როგორიცაა კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტი, ორატორმა წინადადება წამოაყენა ეწოდოს მას კონსტიტუციის დაცვის კომიტეტი.

ითქვა, რომ კონსტიტუციური ზედამხედველობის შესახებ კამათში ჩაწერილია 51 კაცი. ყრილობამ გადაწყვიტა შეწყვიტოს დღეს ამ საკითხის განხილვა და განაგრძოს პარასკევს.

დადგენილი წესის შესაბამისად სხდომის უკანასკნელი საათი მიეძღვნა საკითხთა განხილვას პუნქტით „სხვადასხვა".

თავმჯდომარემ წაიკითხა „ლიტერატურნაია გაზეტას" მთავარი რედაქტორის დეპუტატ **ი. პ. ვორონოვის** განცხადება: „დიდად ვწუხვარ, რომ „ლიტერატურნაია გაზეტაში", გამოქვეყნებულმა მასალამ „ეკონომია უნდა გავწიოთ თუ არა კოსმოსზე"? ნეგატიური რეაქციისა და წყენის საბაბი მისცა ვალენტინა ვლადიმერის ასულ ტერეშკოვას. მაგრამ მაინც გულწრფელ ბოდიშს ვუხდი სახალხო დეპუტატს, პატივცემულ ვალენტინა ვლადიმერის ასულ ტერეშკოვას".

დეპუტატმა **ი. ნ. აფანასიევმა** გააკეთა განცხადება, რომელიც წაიკითხა სარეგიონთაშორისო ჯგუფის სახელით. ამ განცხადებას, აღნიშნა მან, მხარი დაუჭირა ბალტიისპირეთის რესპუბლიკების დეპუტატთა ჯგუფმაც.

იძულებული ვართ აღვნიშნოთ, ნათქვამია განცხადებაში, რომ გვაქვს პრინციპული აზრთა სხვაობა პოზიციაში მთელ რიგ ფუძემდებელ საკითხებზე ჩვენს ჯგუფსა და უმრავლესობას შორის მეორე ყრილობაზე. ჩამოაყალიბა რა ამ აზრთა სხვაობის მთავარი მომენტები, ორატორმა ჩამოთვალა ღონისძიებები, რომლებმაც, სარეგიონთაშორისო ჯგუფის აზრით, კარდინალურად უნდა გააუმჯობესოს ეკონომიკური სიტუაცია ქვეყანაში.

სარეგიონთაშორისო ჯგუფი, ამრიგად, როგორც დეპუტატმა განაცხადა, ოპოზიციაში აღმოჩნდა ყრილობის უმრავლესობის მიმართ. ამ ჯგუფის სახელით მან განაცხადა, რომ მხარს უჭერს ქვეყნის ცხოვრებისათვის დიდმნიშვნელოვანი კანონების განხილვისა და მიღების დაჩქარებას და ამასთან დაკავშირებით დასვა წინადადება მომავალი წლის იანვარში მოიწვიონ უზენაესი საბჭოს სესია, ხოლო თებერვალში — სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მორიგი ყრილობა.

დეპუტატმა **ს. ა. მედვედევმა** ოპოზიციის განცხადებაში გამოცხადებულ პოზიციას სრულიად არაკონსტრუქციული და დეკლარაციული უწოდა. იქმნება შთაბეჭდილება, თქვა მან, თითქოს სარეგიონთაშორისო დეპუტატთა ჯგუფის მთავარი მიზანი იყოს რადაც უნდა დაუჯდეს გამოცალკევდეს დეპუტატთა უმრავლესობისაგან და ამით გაეცალოს დღევანდელი სოციალურ-პოლიტიკური სიტუაციის ფუძემდებელი მომენტების საკითხთა კონსტრუქციულ დაყენებას. ჯგუფი, ორატორის აზრით, სრულიად არამართლზომიერად აიგივებს სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-6 მუხლის არსებობას ჩვენს დროში პარტიის აბსოლუტურ მონოპოლიურ ძალაუფლებასთან.

რეგიონთაშორისი ჯგუფის ეკონომისტები და კონსულტანტები, თქვა შემდეგ ორატორმა, გვერდს უვლიან საკითხს იმის შესახებ, თუ რა არის რადიკალიზმი მათი გაგებით და როგორია ახლა მისი სოციალური ფასი. რადიკალიზმის შედეგი, რომელზეც ლაპარაკია ჯგუფის განცხადებაში, მისი აზრით, შეიძლება დღეს ჩვენი ქვეყნისათვის იყოს მხოლოდ უარყოფითი — ხანგრძლივი უძრაობა ეკონომიკაში აფეთქებასაშიში სოციალურ-ეკონომიკური ძვრების პირობებში, საწარმოთა გაკოტრება, სწრაფი ინფლაცია და ა. შ.

რა არის ყრილობის უმრავლესობისაგან საკუთარი თავის ასეთი მოწყვეტის მიზანი? ამ კითხვაზე დეპუტატმა ასე უპასუხა: პირველი. ჯგუფი არ აპირებს მონაწილეობა მიიღოს ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციაში; მეორე. ჯგუფი იხსნის პასუხისმგებლობას საქმის ახლანდელი და მომავალი მდგომარეობისათვის; მესამე. ჯგუფს მიაჩნია, რომ დადგა დრო ქვეყანაში პოლიტიკური ძალაუფლებისათვის აშკარა ბრძოლის დასაწყებად. ყოველივე ეს, ხაზგასმით აღნიშნა ორატორმა, დასაგმობია.

გარდაქმნის წლების მანძილზე, თქვა დეპუტატმა **ვ. ნ. გოლუბევმა,** ჩვენ გამოვასწორეთ მრავალი შეცდომა, მაგრამ არა ყველა. დაიმოწმა რა გადაწყვეტილება, რომ მეორედ არ ენიჭებოდეს სოციალისტური შრომის გმირის წოდება და არ დაიდგას სამშობლოში ორგზის გმირთა ბიუსტები, მან წინადადება წამოაყენა მოსპონ წინათ დადგენილი ამგვარი სამახსოვრო ნიშნები. ეს, ორატორის აზრით, ხელს შეუწყობს წარსულისაგან საზოგადოების ზნეობრივ განწმედას.

გააანალიზა რა სარეგიონთაშორისო ჯგუფის განცხადება, დეპუტატმა **გ. ი. იანაევმა** კმაყოფილებით აღნიშნა მისი ავტორების განზრახვა ითანამშრომლონ, ეძებონ ძალთა გაერთიანების წერტილები. ასეთი კოოპერაცია შეიძლებოდა სასარგებლო ყოფილიყო საზოგადოებისათვის, მაგრამ, თქვა მან შემდეგ, „მანიფესტის" გამოქვეყნება — ეს არის ულტიმატუმი პარტიისადმი, რომელმაც დაიწყო გარდაქმნა, ულტიმატუმი სსრ კავშირის უზენაესი საბჭოსადმი, ჩვენი ყრილობისადმი. ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ი. ნ. აფანასიევის გამოსვლა მიაჩნია ცდად დაასაბუთოს, რომ აუცილებელია განხორციელდეს პოლიტიკა პრინციპით: „რაც უარესი, მით უკეთესი". „მანიფესტის" ავტორები, თქვა მან შემდეგ, გვთავაზობენ შექმნილი მდგომარეობიდან საკუთარ გამოსავალს. მათ მიაჩნიათ, რომ ეს არის „გარდაქმნის უძრაობის" დაძლევა. ყველა უბედურების პანაცეად მათ მიაჩნიათ სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-6 მუხლის გაუქმება.

აქედან გამომდინარეობს, ფიქრობს დეპუტატი, მისწრაფებაც შეამწყვდიონ პარტია პოლიტიკურ რეზერვაციაში, უბიძგონ მრავალპარტიულობისათვის, საზოგადოებრივი შენობის, კერძოდ მისი საძირკვლის მთლიანად დანგრევისათვის, და განზრახვა ამ ადგილას ააშენონ რაც გინდა, ოღონდ ეს გამოირჩეოდეს პარტიის მიერ შემოთავაზებულისაგან. და ყოველივე ამას გვთავაზობენ ხალხის სახელით.

დეპუტატმა კრიტიკულად გააანალიზა განცხადების ეკონომიკური კონცეფცია და თქვა, რომ არ ეთანხმება მის ძირითად დებულებებს.

ჩვენ გავხდით, თქვა მან, გააზრებული აქციის, გარდაქმნის თეზისებითა და ხალხის მისწრაფებებით სპეკულირების ცდების მოწმენი. სწორედ პარტიამ დაიწყო გარდაქმნა, პარტია განაგრძობს მას, პასუხიც მან უნდა აგოს ხალხის წინაშე დაწყებული საქმის შედეგებისათვის. დადგა აღმშენებლობის დრო, და იგი არ უნდა დავკარგოთ, თქვა გ. ი. იანაევმა.

დეპუტატი **ვ. ნ. ლოპატინი** შეეხო, კერძოდ, შეიარაღებული ძალების დღევანდელ მდგომარეობასთან დაკავშირებულ საკითხს. ეს მდგომარეობა ღრმა წინააღმდეგობრიობაშია მსოფლიოში მიმდინარე ცვლილებებთან, ჩამორჩება ქვეყანაში გარდაქმნის პროცესებს, არ შეესაბამება სოციალისტური არმიის თავდაპირველ ბუნებასა და დანიშნულებას, რომელიც, მისი აზრით, იაფ მუშახელად გადაიქცა. ორატორს შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავლად მიაჩნია საფუძვლიანი სამხედრო რეფორმა.

საღამოს სხდომის დასასრულ **მ. ს. გორბაჩოვმა** თქვა:

ამხანაგებო, „სხვადასხვაში" გამოსვლები გვაძლევს ფიქრის საბაბს. არ ვაპირებ მათს კომენტირებას და, ვასრულებ რა დეპუტატთა სურვილს, ვუპასუხებ შეკითხვებს, რომლებიც ეხება პანამას, რუმინეთის ამბებს. და კიდევ არის ერთი თემა — საშინაო. მე მასაც შევეხები.

პანამაში ამერიკის შეერთებული შტატების შეჭრა სულ უფრო მზარდ გულისწყრომას იწვევს. ასეთი გულისწყრომა უკვე გამოთქვეს, კერძოდ, ლათინური ამერიკის ქვეყნების უმრავლესობამ, იუგოსლავიამ, ესპანეთმა, ჩინეთმა. საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ ძალის გამოყენება ყოველთვის იწვევს სინანულს და გაუმართლებელია. უშიშროების საბჭოში გრძელდება ამ საკითხის განხილვა.

დღეს საბჭოთა მთავრობამ გამოაქვეყნა განცხადება ამ საკითხზე. თქვენ, იქნებ, უკვე იცნობთ მას, ხოლო ვინც არ იცნობს, წაიკითხეთ. იგი სერიოზულია.

რაც შეეხება რუმინეთის ამბებს, მრავალი დეპუტატი, და კერძოდ მოლდავეთიდან, დაბეჯითებით მოითხოვს, რომ ყრილობამ რეაგირება მოახდინოს მათზე. მაგრამ ამისათვის უნდა იქონიო უტყუარი ინფორმაცია და მის საფუძველზე დაადგე სწორ პოზიციას, მისცე შეფასება.

გუშინ ჩვენს ელჩს რუმინეთში ამხანაგ ტიაჟელნიკოვს დავავალეთ, სთხოვოს ქვეყნის ხელმძღვანელობას შესაბამისი ინფორმაცია. სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში მოვიწვიეთ რუმინეთის ელჩი, რათა დაგვესვა იგივე კითხვები და მიგვეღო ინფორმაცია. ჯერჯერობით ინფორმაცია, რომელიც ბუქარესტიდან და აქ რუმინეთის ელჩისაგან გვაქვს, არ გვაძლევს შესაძლებლობას ვიქონიოთ რეალური წარმოდგენა იმაზე, თუ რა ხდება მაინც ამ ქვეყანაში.

თქვენ იცით, რომ საზღვარგარეთის პრესა დრამატული ტონებით გვაცნობს ამ ქვეყანაში შექმნილ სიტუაციას. მაგრამ ჯერჯერობით ის, რაც რუმინეთში საბჭოთა ელჩისაგან მივიღეთ, ამას არ ადასტურებს. ჩვენ დავავალეთ მას განაგრძოს ეს მუშაობა, რათა სახალხო დეპუტატთა ყრილობას წარმოუდგინოს დაწვრილებითი და ობიექტური ინფორმაცია რუმინეთში შექმნილი სიტუაციის შესახებ. მაშინ ჩვენ განვსაზღვრავთ, რა რეაგირება მოვახდინოთ.

შემდეგ დღის პირველ ნახევარში მივიღე ათობით კომუნისტი დეპუტატის მიერ ხელმოწერილი რამდენიმე მიმართვა. წაგიკითხავთ ერთ მათგანს: „პატივცემულო მიხეილ სერგის ძევ! ქვეყნის ყველა კომუნისტისათვის სამწუხარო ფაქტია ლიტვის კომუნისტური პარტიის გამოსვლა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის შემადგენლობიდან. როგორც ჩანს, ეს ნიშნავს ქვეყანაში სეპარატისტული განწყობილებების ახალ ტალღას, ახალ დიდ საფრთხეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ჩვენი მრავალეროვანი სახელმწიფოსათვის. შეშფოთება იზრდება, ჯაჭვური რეაქცია დაიწყო. ამ პირობებში, ჩვენი აზრით, სასარგებლო იქნებოდა ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობის შეხვედრა კომუნისტ სახალხო დეპუტატებთან. საჭიროა ინფორმაცია პირველი ხელიდან, საჭიროა შეთანხმებული მოქმედება. ყოველ შემთხვევაში, თავის ისე მოჩვენება, თითქოს არაფერი არ მომხდარიყოს, არ გვჭირდება. თუ ასეთი შეხვედრა რაღაც მიზეზის გამო ვერ გაიმართება, ჩვენ მოველით სხვა მოქმედებას, რომელიც დაგვეხმარებოდა ყველას გავრკვეულიყავით, თუ რა ხდება. თავს ძალიან მოუსვენრად ვგრძნობთ".

მინდა ვთქვა, რომ ვიზიარებთ კომუნისტი სახალხო დეპუტატების ამ შეშფოთებას და წუხილს იმ პირველი ინფორმაციის გამო, რომელიც მოსკოვში მოვიდა. ჯერ ჩვენ არა გვაქვს ოფიციალური ცნობები: არც მოხსენება, არც ლიტვის კომპარტიის ყრილობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი. იმედი გვაქვს მივიღებთ მათ, თუმცა გვაქვს ინფორმაცია, რომელიც ემთხვევა იმას, რასაც ამხანაგები წერენ.

დღეს პოლიტბიურომ შუადღისას სხდომა გამართა ამ საკითხზე, თქვა მ. ს. გორბაჩოვმა. ჩვენ გადავწყვიტეთ უახლოეს დღეებში გამოვიტანოთ ეს საკითხი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის განსახილველად.

სხდომა დამთავრდა.

* * *

22 დეკემბერს ყრილობის დილის სხდომის გახსნისას თავმჯდომარე **მ. ს. გორბაჩოვი** მიუბრუნდა იმას, რაზეც იყო ლაპარაკი წინა საღამოს სხდომაზე. ინფორმაცია, თქვა მან, რომელიც მივიღეთ საბჭოთა საელჩოსაგან (ოფიციალური ინფორმაცია რუმინეთის ხელისუფლებისაგან არ გაგვაჩნია), ცხადყოფს, რომ სიტუაცია [illegible] მეტისმეტად გამწვავებულა.

სიტყვა მიეცა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს **ს. ს. ძასოხოვს.** მან შესთავაზა ყრილობას ამის გამო მიიღონ შესაბამისი განცხადება.

მიღებულ განცხადებაში სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობამ სერიოზული შეშფოთება და უდიდესი წუხილი გამოთქვა რუმინეთში დატრიალებული დრამატული მოვლენების შესახებ ინფორმაციის გამო. დოკუმენტში ნათქვამია, ვიმედოვნებთ, რომ სწრაფად და მშვიდობიანად გადაწყდება წამოჭრილი პრობლემები შემწყნარებლობის, ჰუმანურობისა და ადამიანის უფლებათა პატივისცემის სულისკვეთებით.

ყრილობამ განაგრძო სსრ კავშირის კონსტიტუციური ზედამხედველობის შესახებ კანონის პროექტის განხილვა.

კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტი წინათაც რომ არსებულიყო, მიაჩნია დეპუტატ **ა. ა. კულიშოვს,** თავიდან ავიცილებდით ბევრ მწვავე ეროვნებათაშორის კონფლიქტს და ქვეყნის მართვაც უფრო ეფექტიანი იქნებოდა. ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა რამდენიმე პრობლემა, რომელთა გადაჭრა საჭიროებს კანონის პროექტის მიღებას. პირველია რუსეთის ფედერაციის სუვერენულ უფლებათა უზრუნველყოფის საჭიროება. რუსეთი, დეპუტატის აზრით, ჩამორჩა სხვა რესპუბლიკებს, რადგან სამეურნეო ანგარიშზე გადასვლა გადადო 1991 წლისათვის. მან მხარი დაუჭირა სუვერენულ თანასწორუფლებიან რუსეთს, რომელსაც ექნება ცხოველმოქმედი ცენტრალური ორგანოები, და არა რუსეთის სფს რესპუბლიკის ცენტრალური კომიტეტის ბიურო.

ორატორი დაწვრილებით შეეხო ადგილობრივი თვითმმართველობისა და ადგილობრივი მეურნეობის პრობლემებს, ამასთან აღნიშნა, რომ კონკრეტულად და კანონმდებლურად უნდა გადაწყდეს მომწიფებული საკითხები. საბჭოები, ხაზგასმით აღნიშნა ალტაის სამხარეო აღმასკომის თავმჯდომარემ, მეტწილად დაძაბულად და დიდი პასუხისმგებლობით მუშაობენ და ზოგადი ლაპარაკი იმაზე, რომ საბჭოებს არა აქვთ ძალაუფლება, მათ განმტკიცებას კი არ უწყობს ხელს, არამედ არღვევს შექმნილ გამოცდილებას, აბნევს ადამიანებს, აძნელებს საზოგადოების მოძრაობას გარდაქმნის გზით.

შეეხო რა საკუთრების, მიწის, იჯარის შესახებ ახლანდელ კამათს, ორატორმა თქვა: არ შეიძლება, რომ უახლოეს წლებში სურსათის და სხვა საქონლის წარმოების დაჩქარებული ზრდის ყველა იმედს ვუკავშირებთ მეურნეობრიობის საიჯარო ფორმას, უნდა შევცვალოთ ადამიანების ფსიქოლოგია, აღვზარდოთ მოიჯარეები კამპანიურობის გარეშე, თორემ ამ კარგ საქმეს ასევე წარმატებით ჩავფუშავთ.

როგორც ორატორმა აღნიშნა, ზოგნი ისე გაიტაცა ძალაუფლებისათვის ბრძოლამ, რომ კარგავს ზომიერების გრძნობას. აგრესიულობის გაძლიერება, როგორც მან თქვა, ქვეყანაში ახლანდელი სიტუაციის პირობებში უნდა მივიჩნიოთ არა აზრთა პლურალიზმად, არამედ პოლიტიკურ ავანტიურიზმად, ძალაუფლებისათვის, ჩვენი საზოგადოების სტრუქტურის შეცვლისათვის აშკარა ბრძოლად. ამასთან დაკავშირებით ორატორმა ილაპარაკა, თუ რამდენად უსამართლოა დღეს „პრესტიჟული" სიტყვების ხმარება იმის შესახებ, რომ პარტიამ დაკარგა ავტორიტეტი, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას უნდა დაეკისროს მთელი პასუხისმგებლობა საზოგადოებაში საქმის ვითარების გაუარესებისათვის. პარტია, თქვა მან, შედგება მრავალი მილიონი კომუნისტისაგან, რომელთა დიდ უმრავლესობას ბოლო დრომდე არ შეეძლო თავისუფალი და შედეგიანი გავლენა მოეხდინა მისაღებ გადაწყვეტილებებზე.

დეპუტატმა **ვ. ი. იაროვოიმ,** რომელმაც შეახსენა დამსწრეთ რომ გაღრმავდა კონსტიტუციური კონფლიქტი საკავშირო სახელმწიფოსა და მთელ რიგ რესპუბლიკებს შორის, განაცხადა, რომ უდავოდ უნდა შეიქმნას კომიტეტი.

გამოთქვა რა თავისი თვალსაზრისი ესტონეთსა და ბალტიისპირეთის სხვა რესპუბლიკებში მიმდინარე პროცესებზე, ტალინის საწარმოო გაერთიანების დირექტორმა განაცხადა, რომ რესპუბლიკის ხელმძღვანელობა, რომელსაც აქეზებს სახალხო ფრონტი, შეგნებულად ადგას საკავშირო კანონმდებლობის საფუძვლების ნგრევის გზას. სეპარატისტული იდეების მატარებლები განზრახ აიგივებენ რესპუბლიკას მკვიდრ ერთან, რითაც უგულებელყოფენ მოსახლეობის მრავალეროვნულობას. ეს არა მარტო სსრ კავშირის კონსტიტუციის, არამედ საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების დარღვევაა.

როგორ შევათავსოთ რეალურ პროცესებთან, იკითხა ორატორმა, ესტონეთის ხელმძღვანელთა განცხადება, რომ ისწრაფვიან ფედერაციის განმტკიცებას, სამართლებრივი სახელმწიფოს შენებას? ამ კითხვაზე პასუხს საკავშირო ხელმძღვანელობისაგან ელის მილიონობით საბჭოთა მოქალაქე, განსაკუთრებით ისინი, ვინც საკუთარ ქვეყანაში არსებითად ლტოლვილ ემიგრანტთა მდგომარეობაში აღმოჩნდა.

კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის შექმნის წინააღმდეგ ზოგიერთის მიერ გამოტანილი დასკვნები, აღნიშნა ორატორმა, მიზნად ისახავს ნამდვილი მიზეზის დაფარვას: კომიტეტი სერიოზული ბარიერი გახდება მთელ რესპუბლიკებში სწრაფი ტემპით მიმდინარე კანონშემოქმედების გზაზე. ამასთან დაკავშირებით მან მოუწოდა სახალხო დეპუტატებს სძლიონ ეროვნულ ამპარტავნობას და ხმა მისცენ კომიტეტის შექმნას, ამასთან გამოთქვა კანონპროექტის კონკრეტული დაზუსტებანი, რომელთა მიზანია კონსტიტუციური ზედამხედველობის უმაღლესი ორგანოს უფლებამოსილებათა გაფართოება.

დასასრულ ორატორმა ესტონეთის დეპუტატთა ჯგუფისა და მათი ამომრჩევლების სახელით შეიტანა ყრილობის დადგენილების პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს ესტონეთის სს რესპუბლიკაში ბოლო დროს მიღებული ზოგიერთი იურიდიული აქტის მოქმედების შეჩერებას, რადგან ისინი ეწინააღმდეგება სსრ კავშირის კონსტიტუციას.

კანონის პროექტს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნისათვის. თქვა რა ეს, დეპუტატმა **გ. რ. იბრაგიმოვმა** ხაზგასმით აღნიშნა, რომ იგი ფორმითაც შეესაბამება კანონშემოქმედებითი კულტურის ყველაზე მაღალ მოთხოვნებს. საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიაში პირველად, პროექტი ითვალისწინებს დეპუტატთა კორპუსის უმცირესობის დაცვის მექანიზმს. მოკავშირე რესპუბლიკები მიიღებენ უფლებას, საკითხი დასვან სსრ კავშირის კონსტიტუციასთან სსრ კავშირის კანონების შესაბამისობის შესახებ.

ეს უფლება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, როცა კონსტიტუციაში ამომწურავად იქნება ჩამოთვლილი კავშირის უფლებამოსილებანი. ერთი მოკავშირე რესპუბლიკა მიიღებს უფლებას დასვას საკითხი მეორე მოკავშირე რესპუბლიკის კანონის კონსტიტუციურობის შესახებ. ეს განსაკუთრებით საჭიროა, თუ ასეთი კანონი ლახავს მის სუვერენულ უფლებებს. კავშირი ამ შემთხვევაში მოგვევლინება მოკავშირე რესპუბლიკის სუვერენული უფლებების გარანტად.

ორატორმა წინადადება წამოაყენა მოიწონონ პროექტი, ამასთან გააკეთა რამდენიმე შენიშვნა, რომლებიც ეხება, კერძოდ, რესპუბლიკების სუვერენიტეტის განმტკიცებას. დოკუმენტში არაფერია ნათქვამი კონსტიტუციური ზედამხედველობის შემადგენლობაში განმეორებითი არჩევის აკრძალვის თაობაზე. მოიშველია რა ის, რომ ბევრ ქვეყანაში ასეთი აკრძალვა არსებობს, დეპუტატმა განაცხადა, რომ მისი აზრით იგი ჩვენშიც უნდა შემოვიღოთ.

კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტი დაუყოვნებლივ უნდა შეიქმნას და გადაუდებლად შეუდგეს მუშაობას, მიაჩნია დეპუტატ **ი. ს. ტიხონოვიჩს.** თავისი გამოსვლის ეს მთავარი დასკვნა ვილნიუსელმა მეცნიერმა იმით დაასაბუთა, რომ ეთნიკური ეგოიზმი და შოვინიზმი ახლა სულ უფრო ცხადი და საშიში ხდება ქვეყნის მრავალ რეგიონში.

კომიტეტმა უნდა აღკვეთოს ადამიანის უფლებათა შებღალვის ყოველგვარი ცდები, მათ შორის ის ცდებიც, რომლებიც შენიღბულია მაჩვენებითი ზრუნვით გარდაქმნის ბედისათვის, თქვა ორატორმა. ადამიანები უკმაყოფილონი არიან მთელი რიგი სახელმწიფო ორგანოების, მათი ხელმძღვანელების მერყევი პოზიციით, რის წყალობითაც უზრუნველყოფილი არ არის ცალკეულ რესპუბლიკებში სამართლებრივი საბჭოთა ნორმების ფუნქციონირება. ეს ცეცხლთან თამაშია, რომელსაც ხანძარი მოჰყვა ზოგიერთ რეგიონში, თქვა დეპუტატმა.

მან მოიყვანა ლიტვის სსრ რესპუბლიკაში პოლონურ და რუსულენოვანი უმცირესობების დისკრიმინაციის მთელი რიგი კონკრეტული მაგალითები. სამწუხაროდ, აღნიშნა ორატორმა, შოვინისტური პროპაგანდისაგან თავისუფალი არ არიან რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებანიც.

ხალხის კულტურაა მისი ურთიერთობა სხვა ერებთან და ეროვნებებთან. ჩვენ ყველანი უნდა ვიყოთ ადამიანები, ეს კი ნიშნავს, არ შეიძლება ხალხების დაყოფა „ჩვენებად" და „უცხოებად", კმარა ბოიკოტები, ობსტრუქციები, ბლოკადები!

ახლა მთავარია გარდაქმნით მოცემული თავისუფლება შევაერთოთ მტკიცე სამართლებრივ წესთან, რათა დემოკრატიის მოწინააღმდეგეებმა ბოროტად ვერ გამოიყენონ იგი ანგარებითი მიზნით. ეს მიმაჩნია, განაცხადა დეპუტატმა, კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის ფილოსოფიურ აზრად. მისი გადაწყვეტილებანი კონსულტაციური კი არა, იმპერატიული ხასიათისა უნდა იყოს.

დეპუტატმა **ვ. ი. სკუდრამ** დაადასტურა თავისი სოლიდარობა ყრილობაზე იმ გამოსულებთან, რომლებიც კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის შექმნის საკითხის განხილვის წინააღმდეგი იყვნენ. მან ეს იმით ახსნა, რომ, მისი თქმით, არავის არ გვინდა ვიცხოვროთ გუშინდელივით, არავის არ გვინდა ვიაროთ ქირზის ჩექმებით....

შემდეგ ორატორმა თქვა, რომ საბჭოთა ფედერაციაში კრიზისული მოვლენები გამოწვეულია ლენინური პრინციპების უგულებელყოფით, რომლებიც 1922 წელს საფუძვლად დაედო სსრ კავშირის შექმნას. ახლა, მისი აზრით, გაბატონებულია მბრძანებლური მეთოდები კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ურთიერთობაში, არ არის რესპუბლიკების სუვერენიტეტის იურიდიული გარანტიები. ჩვენს საზოგადოებაში ფედერაციული ურთიერთობა უნდა ემყარებოდეს მხოლოდ და მხოლოდ რესპუბლიკების დაინტერესებას სსრ კავშირის შენარჩუნებით. უდავო სინამდვილე უნდა გახდეს პრინციპი, რომ საბჭოთა ფედერაციას შეუძლია იარსებოს და იყოს ძლიერი იმ შემთხვევაში, როცა იგი ეყრდნობა მის შემადგენლობაში შემავალი ყველა მოკავშირე რესპუბლიკის — დიდისა და პატარის ყველა თვალსაზრისით ურთიერთნდობასა და ნებაყოფლობით თანხმობას.

ლატვიის სსრ იუსტიციის მინისტრმა დამსწრეთ შეახსენა ისტორიული დოკუმენტების — სსრ კავშირის შექმნის შესახებ ხელშეკრულებისა და დეკლარაციის შინაარსი, რომლებიც მიღებულია 1922 წელს. ისინი ნათლად ასახავენ სსრ კავშირში რესპუბლიკების გაერთიანების სახელშეკრულებო ბუნებას, ნებაყოფლობითობას. მაგრამ, თქვა შემდეგ ორატორმა, პრაქტიკულად ამ პრინციპებს დღემდე არ ცნობენ. მან გაილაშქრა იმის წინააღმდეგ, რომ კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტი იხილავდეს საკითხებს სსრ კავშირის კონსტიტუციასთან მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციებისა და მათში მიღებული საკანონმდებლო აქტების შესაბამისობის შესახებ.

მშვიდი განსჯისა და ანგარიშიანობისადმი პროფესიული ერთგულება აშკარად გამოვლინდა დეპუტატ **გ. ი. დემიდოვის** გამოსვლაში. პენზელმა ქირურგმა, გამოყო რა სსრ კავშირის კონსტიტუციური ზედამხედველობის კანონპროექტისა და კომიტეტის შესახებ საკითხის განხილვის დროს ჩამოყალიბებული ორი პოზიცია, გააკრიტიკა ზოგიერთი დეპუტატის შეუპოვარი ბრძოლა ძლიერი რესპუბლიკებისათვის სუსტი, ეგრეთ წოდებული საკოორდინაციო ცენტრის პირობებში.

მან განაცხადა, რომ კანონის მიღება და კომიტეტის შექმნა ქვეყანაში ახლანდელ ურთულეს სიტუაციაში არა მარტო ყველაზე სწორი ნაბიჯია ეკონომიკური მდგომარეობის და ეროვნებათშორისი ურთიერთობის ნორმალიზაციის გზაზე, არამედ წინსვლაა სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის გზით. ამასთან დაკავშირებით ორატორმა გაიხსენა ლენინის სიტყვები იმის შესახებ, რომ დემოკრატია უცენტრალიზმოდ პირდაპირი გზაა ანარქიისაკენ. ამ გზაზე დადგომის ნებას არ მოგვცემს ახალი კონსტიტუციური ორგანო.

კომიტეტი, ორატორის აზრით, იმისთვისაც არის საჭირო, რომ ქვეკანონური აქტები არ იძენდნენ პრიორიტეტულ მნიშვნელობას საკავშირო კანონებთან შედარებით. ამასთან ერთად იგი როგორც მოკავშირე რესპუბლიკების, ისე მოქალაქეთა უფლებების ინტერესების დაცვის საიმედო გარანტი იქნება მათი ბინადრობის ადგილის მიუხედავად. ამრიგად, ახალი ორგანო სტაბილიზაციისა და ცენტრსა და პერიფერიას შორის წონასწორობის შექმნის ფაქტორი გახდება. ორატორმა მხარი დაუჭირა სსრ კავშირის კონსტიტუციური ზედამხედველობის მომავალი კომიტეტის ხელმძღვანელის პოსტზე დეპუტატ ს. ს. ალექსეევის კანდიდატურას.

შემდეგ გამოვიდა დეპუტატი **თ. ე. აბულაძე,** რომლის სიტყვა დღევანდელ ნომერში იბეჭდება.

დეპუტატმა **ი. ვ. გოლიკმა** კითხვით მიმართა იმათ, ვინც თანამიმდევრულად ილაშქრებს კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის შექმნის წინააღმდეგ. მან ჰკითხა თავის კოლეგებს: აღიარებთ თუ არა, რომ ჩვენი, როგორც ქვეყნის მოქალაქეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები ილახება და ირღვევა კანონის დონეზე?

მისი აზრით, დარბაზში ყველა დამსწრისათვის ცხადია, რომ ამ კითხვას დადებითი პასუხი მოჰყვება. მაშინ რატომ ილაშქრებთ ამ კომიტეტის წინააღმდეგ, რატომ და რა თვალსაზრისით გადაწყვიტეთ, რომ კომიტეტი აუცილებლად [illegible] რესპუბლიკურ კანონებს? იკითხა პერმის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა.

მისი აზრით, ტენდენციურია თვალსაზრისი, თითქოს კომიტეტი [illegible] მისი უფლებამოსილებანი ძალზე უნდა შეიზღუდოს. მან განაცხადა, რომ კომიტეტი ისეთი იქნება, როგორსაც ქმნის ყრილობა, და მთელი ძალები უნდა მოხმარდეს ამ ორგანოს შექმნას. რაც შეეხება რესპუბლიკურ კანონმდებლობასა და საკავშირო კანონმდებლობას შორის შესაძლო კოლიზიებს, მიაჩნია ორატორს, ისინი იქნება და უნდა იყოს კიდეც. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ რესპუბლიკური კანონმდებელი არასდროს არ იქნება მართალი. უნდა ვეძებოთ საკანონმდებლო კრიზისის ნებისმიერი გადაჭრის მისაღები, ცივილიზებული გზები. ამაში თავისი დიდი, პოზიტიური, კონსტრუქციული როლის შესრულება შეუძლია, განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნა ორატორმა, სწორედ კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტს. მხარი დაუჭირა რა დისკუსიის იმ მონაწილეებს, რომლებსაც კონსტიტუციური ზედამხედველობის შესახებ კანონი უაღრესად საჭიროდ მიაჩნიათ საბჭოთა ფედერაციის საფუძვლების განმამტკიცებლად.

შემდეგ სიტყვა აიღო დეპუტატმა **დ. ვ. ხუგაევმა** (მისი გამოსვლა მომდევნო ნომერში დაიბეჭდება).

დეპუტატმა **კ. ვ. მოტიკამ** თავისი გამოსვლა დაიწყო იმით, რომ წაიკითხა ბალტიისპირელთა საპარლამენტო ჯგუფის განცხადება, რომელიც შეიცავს წინადადებას შეწყდეს კონსტიტუციური ზედამხედველობის შესახებ საკითხის განხილვა და გადაიდოს კომიტეტის შექმნა. ჯგუფის წევრებმა უარი განაცხადეს ამ საკითხის გამო კენჭისყრაში მონაწილეობაზე და უფლებამოსილად არ მიიჩნიეს ყრილობის ნებისმიერი შესაძლო გადაწყვეტილება, რომელიც არ არის დაფუძნებული კონსენსუსზე.

ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარების მთელი მიმდინარეობა, თქვა შემდეგ ვილნიუსელმა ადვოკატმა, მოუთითებს, რომ სსრ კავშირი დიდი გადაწყვეტილებების ზღურბლთან დგას, მაგრამ ვერ ბედავს მის გადაბიჯებას. ამ შეფერხების ერთ-ერთი სუბიექტური მიზეზი, მისი აზრით, შეიძლება გახდეს კონსტიტუციური ზედამხედველობა.

ორატორმა განაცხადა, რომ საეჭვოდ მიაჩნია ისტორიული ფაქტის — სსრ კავშირის შემადგენლობაში ლიტვის შესვლის მართლზომიერება. ჩვენ, თქვა მან, გარდაქმნა მიგვაჩნია არა მარტო ჩადენილი დანაშაულის საჯარო აღიარებად, არამედ ამ დანაშაულის შედეგების ლიკვიდაციის პროცესადაც. მომავალი სამართლებრივი საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობა წარმოუდგენელია უკანონოდ აგებულ საძირკველზე. სსრ კავშირმა უნდა გამოიჩინოს კეთილი ნება და განახორციელოს სასწრაფო ღონისძიებანი სტალინისა და მისი ხროვის პოლიტიკის ყველა მსგავსი შედეგის აღმოსაფხვრელად. დეპუტატის აზრით, უნდა დაიწყოს ოფიციალური მოლაპარაკება დამოუკიდებელი ლიტვის აღდგენის შესახებ ევროპისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

კანონპროექტის დასაცავად თავისი მოსაზრებები გამოთქვა დეპუტატმა **ი. ა. ოხიპიანმა.** მან გამოთქვა იმედი, რომ მის მოსაზრებებს მშვიდად და კეთილმოსურნედ მოისმენს ყველა დეპუტატი, მათ შორის მისი მოწინააღმდეგენიც, ქვეყანაში მიმდინარეობს სერიოზული პოლიტიკური პროცესი, მაგრამ ზოგიერთი ტაქტიკური ამოცანის გადაწყვეტის სამსახურში არ უნდა ჩავაყენოთ გარდაქმნის სვე-ბედის კარდინალური საკითხები. ორატორი დაეთანხმა იმას, რომ უნდა გავითვალისწინოთ საკაცობრიო ღირებულებები, მაგრამ ამავე დროს უნდა დავიცვათ როგორც ცალკეული ადამიანების უფლებები, ისე ჯგუფებისა და ეროვნული წარმონაქმნების უფლებები. ამას კი განვახორციელებთ მხოლოდ მაშინ, თუ გვექნება სამართლებრივი სახელმწიფო და მისი ატრიბუტები სამართლებრივი ორგანოების სახით.

გადასაჭრელია ჩვენს ფედერაციასთან და ეკონომიკური და სოციალური გარდაქმნის მიმდინარეობასთან დაკავშირებული სერიოზული პრობლემები. მაშასადამე, საჭიროა კანონების რეალიზაცია, რომლებსაც ვიღებთ, მათ შორის ისეთი ფუძემდებელი კანონებისა, როგორიცაა კანონები საკუთრების, მიწის, სახალხო დეპუტატთა საბჭოების შესახებ. თავს იჩენს

(დასასრული მე-3 გვ.).

დეპუტატ თენგიზ აბულაძის გამოსვლა

კინოსტუდია „ქართული ფილმის" დამდგმელი
რეჟისორი, ქ. თბილისი (საბჭოთა კავშირის
კომუნისტური პარტიისაგან)

ღრმად პატივცემულო მიხეილ სერგის ძევ, პატივცემულო დეპუტატებო! მე არ გახლავართ არც დიდი ორატორი, არც იურისტი და არც პოლიტიკოსი, მაგრამ ოცნება, რომელსაც მთელი სიცოცხლე გულით ვატარებდი, ოცნება — ვყოფილიყავ თავისუფალი პიროვნება თავისუფალ სახელმწიფოში, მაკადნიერებს მოვითხოვო თქვენი ყურადღება ისეთი დიდმნიშვნელოვანი საკითხის განხილვისას, როგორიც არის კანონი სსრ კავშირში კონსტიტუციური ზედამხედველობის შესახებ.

და თუმცა ტერმინების — „ზედამხედველი" და „ზედამხედველობა" — გაგონებაზე ჟრუანტელი მივლის, კარგად მესმის, რომ სამართლებრივ სახელმწიფოში, რომელსაც ჩვენ ვესწრაფვით, თუნდაც ფორმულით — ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი განზე, — საჭიროა უმაღლესი სახელმწიფო ორგანო, რომელიც ნიადაგ იდგება ჩვენი დემოკრატიული შენაძენის სადარაჯოზე. მაგრამ, მოდით, დავუფიქრდეთ: ხომ არ ვჩქარობთ ასეთი ორგანოს შექმნას? განა მარტოოდენ დემოკრატიული შენაძენია კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის ზრუნვის საგანი? ეს კომიტეტი ხომ ვერ გადაწყვეტს იმას, თუ სსრ კავშირის კონსტიტუციის რა პუნქტებზე იზრუნოს და რა პუნქტები შეიძლება უგულებელყოს. მისთვის თანაბრად ხელშეუხებელია სსრ კავშირის მოქმედი კონსტიტუციის ყველა პუნქტი. მოგეხსენებათ, კაცმა ჭირი მალა, მალა, ჭირმა თავი ვერ დამალაო. ნუ დაგვავიწყდება, რომ გორბაჩოვისეული დემოკრატიის ნორჩმა აღმონაცენმა ცივილიზებული პარლამენტარიზმის რუდუნებით მოვლილ მდელოზე კი არა, სტალინურ-ბრეჟნევული პარტოკრატიული მონარქიის უღრან ტყეში იხარა.

დიახ, ფასდაუდებელია ამ აღმონაცენის მნიშვნელობა ათწლეულების მანძილზე ჩამყაყებული ჰაერის განწმენდაში. უმადურია ის, ვისაც არ სურს აღიაროს ეს, მაგრამ უმადურია ისიც, ვისაც თავი ისე უჭირავს, თითქოს ვერ ამჩნევდეს, რომ დემოკრატიის აღმონაცენი უღრანი ტყის ვეება ხეების ჩრდილს დაუჩაგრავს. ორგზის უმადურია ის, ვინც ამჩნევს ამ ჩრდილს, მაგრამ შესაძლოდ მიიჩნევს დემოკრატიის აყვავებას ტირანიის ნიადაგზე. შარლ მონტესკიე გვაფრთხილებდა: ყველაზე სასტიკია ის ტირანია, რომელიც კანონიერების კალთას ეფარება და სამართლიანობის ბაირაღს აფრიალებსო. მონტესკიედან ორი საუკუნის შემდეგ სტალინმა და ბრეჟნევმა თავიანთი მოქმედი კონსტიტუციებითა და ანტიკონსტიტუციური მოქმედებით დაარწმუნეს მთელი მსოფლიო ფრანგი ფილოსოფოსის ამ აზრის სამართლიანობაში.

დღეს ჩვენ, ამ დარბაზში მსხდომთ, უნდა გადავწყვიტოთ — დავიცვათ ეს კონსტიტუციები ახალი საგანგებო კანონით, თუ გადავუძახოთ მათ ისტორიის სანაგვეზე. შევეცდები, რამდენიმე არგუმენტით დაგარწმუნოთ მეორე გადაწყვეტილების უპრიანობაში. გადავხედოთ ჯერ განსახილველი კანონპროექტის ტექსტს და მყისვე შევნიშნავთ, რომ იგი არ ითვალისწინებს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შემადგენლობაში შემავალ სუვერენულ სახელმწიფოთა კონსტიტუციური უფლებების დაცვას. რა არის ეს — პროექტის ავტორთა გულმავიწყობა, თუ ცენტრის მიერ რესპუბლიკის ინტერესების ტრადიციული უგულებელყოფა? ასეთი ფორმულირება ხომ ზედგამოჭრილი იქნებოდა პროექტის პირველი პუნქტისათვის. იქნებ კონსტიტუციური ზედამხედველობის მომავალი კომიტეტი აპირებს დაგვიცვას პოლიტიკური ორგანოების ვოლუნტარისტული გადაწყვეტილებისაგან, მაგალითად, ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განმგებელი მდივნის შესაძლო მითითებათაგან შეუსიოს დამსჯელი ჯარი საკუთარ ხალხს? როგორც პროექტიდან ჩანს, ასეთი გარანტიები არ არის.

მე-10 მუხლში, სადაც ჩამოთვლილია კომიტეტის ზედამხედველობას დაქვემდებარებული აქტები, არ არის ისეთი დიდმნიშვნელოვანი პუნქტი, როგორიცაა მმართველი პარტიის ხელმძღვანელი ორგანოს გადაწყვეტილებანი, რომელთა შედეგები გავლენას ახდენენ უპარტიო მოქალაქეთა, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა უფლებებზე. ამავე მუხლში ვერ ვხედავთ პუნქტს, რომლის საჭიროებასაც გვკარნახებს სავალალო სინამდვილე, ანუ უზედამხედველოდ არის დარჩენილი სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ნორმატიული აქტები, რომლებიც გავლენას ახდენენ არასამხედროვალდებულთა უფლებებზე.

კანონის პროექტის ცალკეული დებულებანი წარმოადგენს ერთგვარ კომპრომისს კონსტიტუციის ახლანდელი რედაქციის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის და სწორედ ამიტომ არის საშიში. რამეთუ ეს გახლავთ არა მარტო პოლიტიკური თუ იურიდიული, არამედ, უწინარეს ყოვლისა, ზნეობრივი საკითხი. ხოლო ზნეობრივი კომპრომისი სხვა არა არის რა, თუ არა უზნეობა. სწორედ ჩვენი საზოგადოების ზნეობრივმა კომპრომისმა, ახლო წარსულის პარტიულ ბელადთა მოქმედების კონსტიტუციურ განუკითხაობასთან ერთად შეაძლებინა ჩვენს ჯარებს ომის გამოუცხადებლად დასხმოდნენ თავს მეზობელ სახელმწიფოს და შემდეგ მრავალი წლის მანძილზე უტიფრად ემეორებინათ, იქ ჩვენს ინტერნაციონალურ ვალს ვიხდიდითო. ჭეშმარიტი ინტერნაციონალიზმი, რომელიც უწინარესად, ჰუმანიზმსა და თანადგომას ემყარება, ცივილიზებულ ხალხებში ვალი კი არა მოთხოვნილებაა. მოძმე ხალხების ასეთი ინტერნაციონალიზმის კონკრეტულმა გამოხატულებამ გაუქარვა ქართველ ხალხს სვანეთსა და აჭარაში მომხდარი უბედურებებით გამოწვეული დანაკლისის სიმძიმით მოყენებული ტკივილი. ალბათ, ამ აზრს დამიდასტურებენ ჩვენი ჩერნობილელი თუ სპიტაკელი და-ძმანი.

და თუ დღეს რაღაც უშლის ხელს სსრ კავშირის ხალხთა შორის ინტერნაციონალიზმის გამოვლენას, ეს ჩემი ღრმა რწმენით, ის არის, რომ ყველა ჩვენი უბედურების ფესვები საიმედოდ არის დაცული ისევ და ისევ მოქმედი კონსტიტუციით. მოვიყვან მხოლოდ ერთ მაგალითს. სტალინისა და ორჯონიკიძის ავბედითმა, ცენტრის მაამებლურმა მოქმედებამ მარტოოდენ დამოუკიდებელი საქართველოს ანექსია როდი გამოიწვია, 20-იან წლებში მათს დანაშაულებრივ განუკითხაობას, ამიერკავკასიის რუკის გადაკეთება-გადმოკეთებას მოჰყვა ის, რომ ჩვენ დღესაც ვერ დაგვიღწევია თავი მაშინ შექმნილი პოლიტიკური ჩიხისათვის. მაკიაველის ღირსეულ მოწაფეთა ბოროტმა გენიამ შეძლო ბოლოს და ბოლოს დაესნებოვნებინა ეროვნებათშორისი ურთიერთობის ჯანსაღი სხეული ტერიტორიული პრეტენზიების ავთვისებიანი სიმსივნით. კონსტიტუციას, რომელიც თავიდან ვერ აცილებს პოლიტიკურ ჩიხში მომწყვდევას თავის საკუთარ სახელმწიფოს, ვერანაირი ზედამხედველობის ორგანო ვერ დაიცავს. ბოლოს და ბოლოს, მას ვერ დაიცავენ ვერც მთელი დედამიწის ზურგზე უძლიერესი შეიარაღებული ძალები, და ამაში გვარწმუნებს ცივილიზაციის ისტორიაც.

ამხანაგო დეპუტატებო, მე ახლავე ვნებდები სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებს — ისინი ჩემზე ძლიერნი არიან. მაგრამ მაინც, ჩემს მოვალეობად ვრაცხ განვუმარტო კოლეგას, დეპუტატს, არმიის გენერალ მოისეევს: ის, რასაც მან ამ ტრიბუნიდან ეროვნული განაპირა მხარე უწოდა, ჩემთვის სხვა არა არის რა, თუ არა ჩემი ერთადერთი და უსაყვარლესი სამშობლო, რომლის ისტორია, კულტურა და სახელმწიფოებრიობა არაერთი ათასი წლისაა. თურმე მხოლოდ და მხოლოდ ეროვნულ განაპირა მხარედ თვლის გენერალი ჩემი კოლეგების სამშობლოსაც, იქნება იგი ამიერკავკასიაში, ბალტიისპირეთსა თუ შუა აზიაში.

ღრმად ვარ დარწმუნებული: სანამ მხედართმთავართა არსენალში ასეთი იმპერიული ფრაზეოლოგია იქნება, ზედმეტია ლაპარაკი ჩემი ხალხისა და მოისეევის არმიის ერთიანობაზე. ამასვე მოწმობს რამდენიმე ათეული ჯარისკაცის, ჩემი თანამემამულეების ცხედრები, უკანასკნელი ნახევარი წლის მანძილზე რომ ჩამოასვენეს საქართველოში იმ ადგილებიდან, სადაც ისინი სამხედრო სამსახურს გადიოდნენ. ვაი, რომ ეს არ არის მარტოოდენ ქართული მოვლენა. ასეთი ფაქტები, რომლებსაც ჯარში ლამის სიყვარულით „ძველბიჭობას" უწოდებენ, ჩვენ არ გვსმენია პატივცემული გენერლის გამოსვლაში.

პატივცემულო კოლეგებო! რაოდენ გულუბრყვილო ოპტიმისტიც უნდა ვიყო, მე მესმის, რომ თავისუფალ სახელმწიფოში თავისუფალ პიროვნებად ცხოვრების ოცნება ოცნებადვე დამრჩება, მაგრამ ჩემი რწმენა ურყევია! საერთო გარდაქმნაში დემოკრატიის აღმონაცენი, თუ მზრუნველობა არ დავაკელით, იხარებს, და ადრე თუ გვიან გადაიქცევა რწმენის, ჰუმანიზმის, სამართლიანობის წალკოტად. გისურვებთ ყველას, მოესწრებოდეთ ამ დროს, ხოლო შემდეგ ჩამოეკრას თავისუფალ ხალხთა დემოკრატიული კონსტიტუციის მეურვეობის კანონის მიღების ჟამსაც. დღეს კი გამოვთქვამ ჩემს პირად პოზიციას, რომელზეც დამაყენა ჩემი შვილიშვილების თაობის წინაშე ჩემი თაობის თვალახელილი ნაწილის მონანიების წადილმა: მე ხმას მივცემ იმ კანონის წინააღმდეგ, რომელიც მიზნად ისახავს დაიცვას ყალბი თავისუფლებისა და ფიქციური თანასწორუფლებიანობის სტალინურ-ბრეჟნევული პრინციპები. ხმას მივცემ წინააღმდეგ, და თქვენც ამასვე მოგიწოდებთ. **(ტაში).**

დემოკრატიის სამართლებრივი ნორმები

(დასასრული)

ამ კანონების დაცვასთან დაკავშირებული პრობლემები. ვინ გააკეთებს ამას? სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა ერთმნიშვნელოვანი პასუხი გასცა ამ კითხვას: მხოლოდ კონსტიტუციური ზედამხედველობის ორგანო.

ეროვნულ უმცირესობათა უფლებებს მიუძღვნა გამოსვლა დეპუტატმა **ე. ვ. კოგანმა.** ბევრ რეგიონში მოსახლეობის ამ ჯგუფების ახლანდელი მდგომარეობა, მიაჩნია მას, გვიკარნახებს, რომ უაღრესად საჭიროა შეიქმნას კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტი. ამ თეზისის დასამტკიცებლად ორატორმა მოიყვანა ესტონეთის სს. რესპუბლიკაში არსებული ეროვნებათაშორისი დაძაბულობის ამსახველი მთელი რიგი მაგალითები.

კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის შექმნისას, მიაჩნია დეპუტატს, ხელოვნურად არ უნდა შევზღუდოთ მისი საქმიანობის სფერო, და ამ მნიშვნელოვან ორგანოს არ უნდა დავუტოვოთ მხოლოდ სასიგნალო ფუნქციები. კანონის პროექტში უნდა შევიტანოთ შესწორება, რომლის მიხედვით ნებისმიერი ნორმატიული აქტის შექმნისას, რომელიც არღვევს ადამიანის უფლებებს, კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტს უფლება ექნება დაუყოვნებლივ შეაჩეროს ამ აქტის მოქმედება. მე დაჟინებით მოვითხოვ ამ შესწორებას და იმას, რომ მას კენჭი უყარონ სახელობით, განაცხადა ორატორმა.

ბალტიისპირეთში, თქვა მან შემდეგ, ეროვნულ უმცირესობათა უფლებებს ახლა გაბედულად თელავენ, რადგან იციან, რომ ამის წინააღმდეგ არ განხორციელდება არავითარი ქმედითი ღონისძიება. რაც შეეხება უზენაესი საბჭოს მთელ რიგ საკანონმდებლო აქტებს, რომელთა მიზანია ეროვნულ უმცირესობათა მდგომარეობის გაუმჯობესება, მათ უბრალოდ არ აქცევენ ყურადღებას. ასეთი სიტუაცია, თქვა დეპუტატმა, იქმნება მთელ რიგ სხვა რეგიონებშიც, სადაც უფრო ხშირად ჰყოფენ საბჭოთა მოქალაქეებს „მკვიდრ" და „მოსულ" ადამიანებად. თუ ასე გაგრძელდა, მთელ ქვეყანაში აღმოჩნდება 60 მილიონი მეორეხარისხოვანი მოქალაქე.

მ. ს. გორბაჩოვი. ჩვენ ვერ დავუშვებთ, უბრალოდ შეუძლებელია, რომ ჩვენში ადამიანები ხარისხებად დაიყოს!..

ე. ვ. კოგანი. ამიტომაც აუცილებლად მიმაჩნია კომიტეტის შექმნა. არ შეიძლება დავამსხვრიოთ, ავაფეთქოთ, ჩავახშოთ ყველაფერი, რაც კი კარგი გვაქვს. გვჭირდება კომიტეტი, ძალზე გვჭირდება, დაამთავრა დეპუტატმა გამოსვლა ბევრი თავისი კოლეგის ტაშის გრიალში.

ამით კამათი შეწყდა. ყრილობამ დაავალა სარედაქციო კომისიას განიხილოს ყველა შეტანილი წინადადება, რათა საღამოს სხდომაზე შესაძლებელი იყოს გადაწყვეტილების მიღება განსახილველი საკითხის გამო.

დეპუტატები შეუდგნენ დღის წესრიგის შემდეგი საკითხის განხილვას ორგანიზებული დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ. თავმჯდომარემ **ა. ი. ლუკიანოვმა** პირველი მოხსენებისათვის სიტყვა მისცა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრს **ვ. ვ. ბაკატინს.** შემდეგ მოხსენება ამ საკითხზე გააკეთა სსრ კავშირის გენერალურმა პროკურორმა **ა. ი. სუხარევმა.**

დილის სხდომის ბოლოს **მ. ს. გორბაჩოვმა** ყრილობას გააცნო მიღებული ახალი ცნობები რუმინეთში მდგომარეობის შესახებ.

საღამოს სხდომაზე სიტყვა მიეცა **დ. ა. ქერიმოვს** — სარედაქციო კომისიის თავმჯდომარეს, რომელმაც სისტემაში მოიყვანა შენიშვნები და წინადადებანი სსრ კავშირში კონსტიტუციური ზედამხედველობის შესახებ კანონის პროექტის გამო.

მან ითხოვა ყურადღება მიაქციონ უწინარეს ყოვლისა შემდეგ მომენტს.

სსრ კავშირში კონსტიტუციური ზედამხედველობის შესახებ სსრ კავშირის კანონის ამოქმედების წესის თაობაზე სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის დადგენილების პირველი პუნქტი შემოთავაზებულია ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: სსრ კავშირში კონსტიტუციური ზედამხედველობის შესახებ სსრ კავშირის კანონი ამოქმედდეს 1990 წლის 1 იანვრიდან, იმ დებულებების გარდა, რომლებიც ეხება ზედამხედველობას სსრ კავშირის კონსტიტუციასა და კანონებთან მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციისა და კანონების შესაბამისობისადმი. აღნიშნული დებულებანი ამოქმედდეს სსრ კავშირის ეროვნულ-სახელმწიფო წყობილების შესახებ სსრ კავშირის კონსტიტუციის გადასინჯული კარის ძალაში შესვლასთან ერთად და შეუსაბამდეს ისინი ამ კარის დებულებებს.

სსრ კავშირის კანონიდან და კონსტიტუციის 125-ე მუხლის ახალი ტექსტიდან შესაბამისი დებულების ამოღების წინადადება გამოიწვევდა კონსტიტუციის სტრუქტურის ერთიანობის დარღვევას, მასში ერთმანეთის საწინააღმდეგო მუხლების გაჩენას. ამიტომ მუხლები კანონში დატოვებულია, მაგრამ მათი მოქმედება შეჩერებულია შესაბამისი კონსტიტუციური აქტის მიღებამდე. ეს წინადადება მიზნად ისახავს ყრილობაზე გამოთქმულ სხვადასხვა თვალსაზრისს შორის ოპტიმალური თანხმობის მიღწევას.

დიდი იმედი მაქვს, თქვა ორატორმა, რომ ამ კომპრომისს მხარს დაუჭერთ.

მეორე პუნქტი უაღრესად მნიშვნელოვანია. შეტანილ იქნეს კანონპროექტის 21-ე მუხლში ახალი მესამე ნაწილი შემდეგი რედაქციით:

სსრ კავშირის კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის დასკვნა, რომელიც აღნიშნავს, რომ რომელიმე ნორმატიული სამართლებრივი აქტით ან მისი ცალკეული დებულებებით ირღვევა სსრ კავშირის კონსტიტუციაში და სსრ კავშირის მიერ რატიფიცირებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებში დამკვიდრებული ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, იწვევს ასეთი აქტის ან მისი ცალკეული დებულებების ძალის დაკარგვას კომიტეტის დასკვნის მიღების მომენტიდან.

კომისიის თავმჯდომარემ გააანალიზა შემოტანილი წინადადებების ხასიათი და შინაარსი და გამოთქვა სარედაქციო კომისიის დამოკიდებულება მათდამი.

კანონის პროექტის შემოთავაზებული შესწორებები, მათ შორის ისინი, რომლებიც შემოვიდა კომისიის თავმჯდომარის გამოსვლის შემდეგ, როგორც დეპუტატებმა დათქვეს, უნდა წარედგინოს მათ წერილობით. ასეთია სარედაქციო კომისიის ახალი დავალება. კანონის პროექტის გამო საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას შაბათს დაუბრუნდებიან.

დაიწყო კამათი ორგანიზებული დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების საკითხის გამო.

დამნაშავეობასთან ბრძოლა თუ არ გაძლიერდა, გარდაქმნა გაჩერდება — ასეთი იყო ლაიტმოტივი დეპუტატ **ი. გ. სამსონოვის** გამოსვლისა, რომელმაც ამასთან დაკავშირებით მთელი რიგი კონკრეტული წინადადებები წამოაყენა. მისი აზრით, კარდინალურად უნდა შეიცვალოს საგამოძიებო აპარატის მუშაობა როგორც სტრუქტურის, ისე ტექნიკური აღჭურვის მხრივ. ამის სარეალიზაციოდ, ბუნებრივია, დაგვჭირდება დამატებითი სახსრები. ასეთი სახსრების წყაროდ ორატორმა, კერძოდ, დეპუტატებს შესთავაზა იმ პირთა სახსრები, რომლებიც საბჭოთა კანონებს არღვევენ, ე. ი. გაითვალისწინა საჯარიმო სანქციების ოდენობის ზრდა. გამოითქვა წინადადება, რომ გამოიყენონ იმ საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სახსრები, რომლებსაც სურთ საზოგადოების ყველა ფენასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის სუფსიდირება. დეპუტატის აზრით, დამნაშავეებისათვის ჩამორთმეულ ფასეულობათა ნაწილი ასევე უნდა დაიტოვონ სამართალდამცავი ორგანოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასავითარებლად.

გამოსვლაში შეშფოთებით ითქვა, რომ ამ ბოლო წლებში დამნაშავეობის მოძალება უშუალოდ არის დაკავშირებული ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლის შესუსტებასთან.

დეპუტატ **ა. ვ. ბოროდულინის** აზრით, ქვეყანაში ჯერ კიდევ არ შექმნილა ორგანიზებული დამნაშავეობის დაძლევის ღონისძიებათა აწყობილი, მოფიქრებული სისტემა. ამასთან დაკავშირებით ორატორს მიაჩნია, რომ დამნაშავეობასთან ბრძოლის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება უნდა გახდეს ეფექტიანი და მოქნილი კანონმდებლობის შემუშავება, რომელიც გამოძიებას უფრო ფართო უფლებამოსილებას მიანიჭებს.

მთავარი პასუხისმგებლობა საბჭოთა ადამიანების ნორმალური ცხოვრების დაცვისათვის ეკისრებათ მართლწესრიგის ორგანოებს, აღნიშნა მან. მაგრამ, სამართალდამცველ ორგანოებში არ აღმოფხვრილა კადრების დენადობა, რასაც იწვევს მძიმე და ხშირად საშიში შრომის მცირე ანაზღაურება, სოციალური და სამართლებრივი დაუცველობა. ამასთან დაკავშირებით დეპუტატმა თქვა, რომ უნდა ამაღლდეს წესრიგის გუშაგთა პრესტიჟი.

ორატორმა წინადადება წამოაყენა შესწორებათა შესაბამისად დააჩქარონ საბჭოთა მილიციის შესახებ კანონის მიღება.

დეპუტატი **ი. ბ. სეტკინი** თავის ემოციურ მიმართვაში შეეხო მორალურ ღირებულებებს, რომლებსაც ასე დაუფიქრებლად კარგავს ჩვენი საზოგადოება. მან ეს ნაწილობრივ ახსნა დამნაშავეობის ტალღის აზვირთებით, რომლის მოთოკვაც, მისი აზრით, ძალზე ძნელი იქნება მხოლოდ და მხოლოდ დასჯის მეთოდებით. ორატორი დარწმუნებულია, რომ, სანამ სამართალდარღვევათა სერიოზულ პროფილაქტიკას არ უზრუნველვყოფთ, მანამდე იარსებებს მასაზრდოებელი გარემო ნეგატიური მოვლენებისათვის, და იმრავლებს, როგორც მან თქვა კრიმინოგენული ზონის რიგები.

თავის გამოსვლის დიდი ნაწილი მიუძღვნა დეპუტატმა ყმაწვილთა დამნაშავეობის პრობლემებს და მჭიდროდ დაუკავშირა ისინი აღმზრდელობითს მუშაობაში არსებულ აღმაშფოთებელ ნაკლოვანებებს.

არმიაში, რომელიც საზოგადოების განუყოფელი ნაწილია, ასევე მიმდინარეობს დემოკრატიზაციის პროცესები. ეს, თქვა დეპუტატმა **ვ. ი. ვარენიკოვმა.** ჩვენ მიგვაჩნია თავისებურ გამოხმაურებად სახალხო დეპუტატთა პირველი ყრილობის რეკომენდაციებზე, რომელმაც მხარი დაუჭირა არმიის თვისებრივ განახლებას. სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ამასთანავე აღნიშნა, რომ სარდლობის მიერ მიღებული ზომების მიუხედავად, ჯარებში შესამჩნევად არ გაუმჯობესებულა დისციპლინა. მან ეს იმით დაასაბუთა, რომ არმია მთელი საზოგადოების სარკეა და სამხედროები თავად ვერ გადაწყვეტენ დამნაშავეობასთან ბრძოლის ყველა პრობლემას.

სრულიად საფუძვლიანი უწოდა ამ საკითხში საზოგადოების შეშფოთებას დეპუტატმა **მ. გ. საფიულინმა,** რომელმაც ილაპარაკა თათრეთის შრომითი კოლექტივების გამოცდილებაზე, თქვა, რომ ისინი დახმარებას, კერძოდ, ფინანსურ დახმარებას უწევენ შინაგან საქმეთა ორგანოებს.

მაგრამ ეს ყველა პრობლემას, რა თქმა უნდა, არ წყვეტს, აღნიშნა ორატორმა. სიტუაციის გამწვავების მიზეზებს შორის მან დაასახელა ის, რომ გასაქანი მიეცათ ფარული ეკონომიკის საქმოსნებს, საზოგადოება არ არის მზად მიიღოს უკანასკნელ წლებში ამნისტიით განთავისუფლებული უამრავი ყოფილი პატიმარი, სერიოზულად დგას ახალგაზრდობის შრომითი მოწყობის პრობლემები. შეეხო რა საზოგადოებაში შრომის პრესტიჟის დაცემის საკითხს, ორატორმა ხელოვნების და პრესის მოღვაწეებს მოუწოდა, ხელი შეუწყონ მის არსებითს ამაღლებას.

კანონმდებლობის, კანონიერებისა და მართლწესრიგის საკითხთა კომიტეტის დავალებით გამოვიდა ამ კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ი. ხ. კალმიკოვი,** რომელმაც დამსწრეთ გაუზიარა მოსაზრებანი ორგანიზებული დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. პარლამენტარს მიაჩნია, რომ ორგანიზებული დამნაშავეობის მთავარი მიზეზია „ეკონომიკა", მეტისმეტი ცენტრალიზმი, რესურსების საფონდო განაწილება, დეფიციტი და თვით... მეურნეობრიობის ახალი პირობები. სოციალურ, ზნეობრივ, სამართლებრივ მიზეზებს მხოლოდ მეორე ადგილი უკავია. განსაკუთრებით საშიშია ადმინისტრაციულ-მმართველობითი ორგანიზებული დამნაშავეობა. იგი პოლიტიზებულია და მას სჩადიან თანამდებობის პირნი, რომლებიც დამნაშავეებს მფარველობენ და იფარავენ.

ამიტომ კომიტეტმა წამოაყენა რამდენიმე რეკომენდაცია. კერძოდ, უნდა შეიცვალოს სამეურნეო ურთიერთობათა სისტემა. საჭიროა შეიქმნას საპარლამენტო კომისია იმ დეპუტატთა და სპეციალისტთა შემადგენლობით, რომლებიც სისხლის სამართლის საკითხებზე მუშაობენ. ანუ შეიქმნას „ტვინის ცენტრი", რომელიც შეიმუშავებს რეკომენდაციებს და განახორციელებს მათ კომიტეტისა და სამართალდამცველი ორგანოების მეშვეობით.

დამნაშავეობასთან წარმატებული ბრძოლის მთავარ პირობად მიიჩნია დეპუტატმა **ე. დ. მალცევმა** საზოგადოების ზნეობრივი გაჯანსაღება. მთავრობა, თქვა მან, უნდა დაგვეხმაროს პრიორიტეტების განსაზღვრაში, რათა რაც შეიძლება მალე დავძლიოთ ის სულიერი კრიზისი, რომელმაც მოსახლეობის მრავალი ფენა და ჯგუფი მოიცვა.

თავის გამოსვლაში ლენინგრადელმა მხატვარმა მძაფრად გააანალიზა ჩვენი საზოგადოების, როგორც მან თქვა, „ფსკერი" და „ნაძირალა ფენები". თუ მათ შევსებას გზა არ გადავუკეტეთ, თქვა მან, მილიციის ვერავითარი ტექნიკური აღჭურვა ვერ გვიშველის. ამ პრობლემის მიმართ ესოდენ ხანგრძლივი უყურადღებობის საზღაურია უმეცრება, საზოგადოების ნაწილის, მათ შორის, ახალგაზრდობის გამხეცება.

შეეხო რა ცხოვრების პოლიტიზაციას, დეპუტატმა საზოგადოების მთელ ძალებს მოუწოდა თავშეკავება და კონსოლიდაცია მომავალ თაობათა ხსნის გულისათვის.

მოვთხოვოთ შინაგან საქმეთა სამინისტროს, უშიშროების კომიტეტს, პროკურატურას საკუთარი ძალებით მოუღონ ბოლო ორგანიზებულ დამნაშავეობას, — ეს ნიშნავს არარად ჩავაგდოთ საღი აზრი, მიაჩნია **ვ. ი. ციბუხს.** მას ყრილობის ამოცანად მიაჩნია განსაზღვროს პრობლემის მასშტაბურობა, მაშასადამე, სახელმწიფო მნიშვნელობა, შეიმუშაოს შესაბამისი შემტევი სტრატეგია.

იქნებ რაღაც მოვუხერხოთ ჩვენს სიამაყეს, იკითხა დეპუტატმა, და დავანებოთ თავი ორგანიზებული დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის მხოლოდ ჩვენებური სოციალისტური ფორმების ძებნას, ეგებ აჯობოს გამოვიყენოთ საუკეთესო მსოფლიო გამოცდილება.

მან წინადადება წამოაყენა საექსპერტო კომისიის შექმნასთან ერთად განიხილონ საკითხი, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს, უშიშროების კომიტეტის, პროკურატურის, საბაჟოს მუშაკების სპეციალისტების, იურისტების, ეკონომისტების — ყველაზე გამოცდილი თანამშრომლების შემადგენლობით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან ჩამოყალიბდეს სპეციალური აღმასრულებელი ორგანო, რომელსაც მინიჭებული ექნება ფართო უფლებები მასშტაბური კოორდინირებული მოქმედებებისათვის.

ყველა სამართალდამრღვევს პატარაობიდანვე რომ სცოდნოდა ბიბლიური მცნებები „არა კაც ჰკლა", „არა იპარო", „არა ცილი სწამო", ეს ბევრ მათგანს აცილებდა თავიდან მომავალში დანაშაულის ჩადენას. დეპუტატი **ა. მ. რიდიგერი** — ლენინგრადისა და ნოვგოროდის მიტროპოლიტი ალექსი, რომელმაც ასეთი რწმენა გამოთქვა, დამნაშავეობის ფესვებს ეძებდა ჩვენი საზოგადოების ზნეობრივ გადაგვარებაში. სულიერ ღირებულებათა გაუფასურებაში. მან აღნიშნა სასიკეთო პერსპექტივები, რომლებსაც გარდაქმნა უსახავს რელიგიურ ორგანიზაციათა საქმიანობას ადამიანის სულიერი განახლების სფეროში. ამ თვალსაზრისით ორატორმა საჭიროდ ცნო დაჩქარდეს სინდისის თავისუფლების კანონის განხილვა და უზენაეს საბჭოში მიღება, რომლის პროექტი უკვე არაერთგზის განუხილავთ რელიგიურ ორგანიზაციებში.

დეპუტატმა ილაპარაკა საეკლესიო მოღვაწეთა მონაწილეობაზე ქველმოქმედებაში, და კმაყოფილებით აღნიშნა, რომ უკანასკნელ ხანს მათ წინაშე გადაიშალა ახალი ასპარეზი — პატიმრობის ადგილებში მყოფ ადამიანებთან მუშაობა. რელიგიური ორგანიზაციები შეძლებისდაგვარად კვლავაც შემატებენ თავიანთ წვლილს იმ საქმეს, რომ დააბრუნონ ადამიანთა სული მართალ გზაზე, რომელიც სიკეთეს მოუტანს მთელ საზოგადოებას, განაცხადა მიტროპოლიტმა.

გამოსვლის დასასრულს მან ყურადღება მიაპყრო მართლსაწინააღმდეგო მოქმედებას, რომელსაც ამჟამად სჩადიან უკრაინის ზოგიერთ ოლქში მართლმადიდებელი საბჭოთა მოქალაქეების მიმართ.

დეპუტატმა **ნ. ა. სტრუკოვმა** ილაპარაკა საფრთხეზე, რომელსაც დამნაშავეთა ძალები უქადიან გარდაქმნას. მან აღნიშნა, რომ კონტროლს დაუქვემდებარებელი კოოპერაციული ორგანიზაციების გამოცოცხლების ვითარებაში იზრდება ხალხის უნდობლობა დასახული ეკონომიკური რეფორმებისადმი. ამასთან დაკავშირებით ორატორმა, კერძოდ, თქვა, რომ არ ეთანხმება დეპუტატთა სარეგიონთაშორისო ჯგუფის განცხადებას. იგი თავს ახვევს ქვეყანას ცალმხრივ საბაზრო ეკონომიკას.

საღამოს სხდომის დამთავრების წინ **მ. ს. გორბაჩოვმა** სსრ კავშირის სახალხო დეპუტატებს გააცნო რუმინეთში შექმნილი ვითარება. მისი წინადადებით ყრილობამ რუმინელ ხალხს გაუგზავნა მიმართვა, რომელშიც მტკიცედ უჭერს მხარს რუმინელი ხალხის სამართლიან საქმეს და ადასტურებს, რომ გულწრფელად ესწრაფვის მჭიდრო თანამშრომლობას სოციალიზმისა და მშვიდობის საკეთილდღეოდ.

23 დეკემბერს ყრილობა მუშაობას განაგრძობდა.

(საქდესი).

ინფორმაცია მთავრობის სახლიდან

ეკონომიკა: მეცნიერებისა და ხელისუფლების კავშირი

— ინსტიტუტი 45 წელია არსებობს და ამ ხნის მანძილზე დღეს პირველად ისმენენ მინისტრთა საბჭოში ამ სამეცნიერო კოლექტივის ანგარიშს. ეს ძალიან კარგი ნიშანია, — განაცხადა ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ავთანდილ გუნიამ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე 20 დეკემბერს. განიხილებოდა საკითხი „თბილისის სახალხო მეურნეობაში მართვის ახალი ფორმებისა და მეთოდების დამუშავებისა და დანერგვისათვის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ".

•

პირველად, თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე.

მიაქციეთ ამას ყურადღება და გაიხსენეთ: ეკონომიკა — საზოგადოების [არსებობის] საფუძველი; ეკონომიკა — ყველაზე დიდი პოლიტიკა; ეკონომიკის მართვა მხოლოდ მეცნიერულად, მის მიღწევებზე დაყრდნობით. ყველა პერიოდში, ყველას მიერ საყოველთაო სახელმძღვანელოდ აღიარებული ეს კანონიკური დებულებები და პრაქტიკულად (ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც) მათი იგნორირება. პარადოქსი კრიზისული შედეგებით პრაქტიკულ ეკონომიკაშიც, ეკონომიკურ მეცნიერებაშიც.

მაგრამ ეკონომიკაში დღეს პოლიტიზებული იდეებისა და ემოციების ისეთი სიუხვეა, რომ აქ დავსვათ წერტილი.

საქმე ჭირდება ახლა საზოგადოებას, შედეგიანი.

შედეგიანი იყო ეს განხილვა. პირველი შედეგი საერთო ხასიათისაც არის და კონკრეტულიც ერთდროულად: ხელმძღვანელობის ბიუროკრატიული სისტემის კიდევ ერთი რგოლი ჩაწყდა — მმართველობით აპარატშიც, მეცნიერულ კოლექტივშიც, ანუ მათ ურთიერთდამოკიდებულებაში.

მაგრამ არა მარტო ეს.

უხვად მოლაპარაკეთა იდეების სიჭარბის ფონზე გამოტანილია სხვა პრაქტიკული დასკვნებიც, რომელთა დეფიციტი ეგებ ყველაზე უფრო საგრძნობი იყოს ჩვენს დამუხტულ დღევანდელობაში.

— გარდაქმნათა რთულ პირობებში ეკონომიკა კრიზისულ მდგომარეობაში აღმოჩნდა მთელ ქვეყანაში, ბუნებრივია — ჩვენს რესპუბლიკაშიც. — თქვა საკითხის განხილვის დაწყებისას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნოდარ ჭითანავამ. — უძრაობის პერიოდის ნეგატიური გავლენა პარტიულმა თუ საბჭოთა მუშაობამ, მეცნიერების სფერომ თანაბრად განიცადა. დაირღვა მათი დიალექტიკური კავშირურთიერთობა, დაკნინდა მეცნიერების გავლენა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაზე. მაგრამ დღეს სწორედ მეცნიერებამ, განსაკუთრებით ეკონომიკურმა მეცნიერებამ უნდა თქვას პირველი სიტყვა, და ამ კრიზისიდან გამოსავალი ერთად უნდა მოვძებნოთ.

ეს იდეა დაედო საფუძვლად საკითხის შესწავლასაც, მის განხილვასაც და დადგენილებასაც, რომელშიც კონკრეტული საკითხების მოგვარების ღონისძიებებიც ჩამოყალიბდა და მეცნიერებასთან დამოკიდებულების საერთო პრინციპებიც დაისახა.

დირექტორის ანგარიში სოლიდურია (მისი აქ ანოტირებაც კი გაგვიჭირდებოდა), პრობლემები — სერიოზული. რესპუბლიკის ყველა ეკონომიკური სამსახურის ერთობლივი, კოორდინირებული საქმიანობა და არა იზოლირებული მუშაობა-კვლევა, როგორიც დღესაა, განსაკუთრებით აწუხებს ინსტიტუტის დირექტორს. რესპუბლიკის ეკონომიკური დაწესებულებებისა და სამსახურების ძალების გაერთიანება მეტ შედეგს მოგვცემსო, ასკვნის იგი.

ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო პოტენციალი (მეცნიერული კვალიფიკაცია, გამოცდილ და ახალგაზრდა თანამშრომელთა ზომიერი თანაფარდობა) ისეთია, განაცხადა აკადემიკოსმა ავთანდილ გუნიამ, რომ მისი გამოყენება უფრო ეფექტიანად შეიძლება.

ეს არ იყო დეკლარაციული, მით უფრო მოდური თვითკრიტიკა: დღევანდელი ამოცანები მაქსიმალურ ძალისხმევას მოითხოვს ყველასგან.

მეცნიერული კვლევის პრობლემატიკის მრავალმხრივობა — საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაციის დონის ამაღლება, ეკონომიკის სტრუქტურული ცვლილებები, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ტემპებისა და პრინციპების, ფასწარმოქმნის, ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფის და სხვა აქტუალური საკითხები, ინსტიტუტის მეცნიერულ ნაშრომებში რომ აისახა, სამწუხაროდ, სახალხო მეურნეობის პრაქტიკულ საქმიანობაზე გავლენას ვერ ახდენს, რადგან ფაქტობრივად ვერც აღწევს ეკონომიკაში დასაქმებულ უწყებებამდე, საწარმოო კოლექტივებამდე.

ინსტიტუტს ცალკეული კავშირები კი აქვს დამყარებული, მაგალითად, ფასების სახელმწიფო კომიტეტთან, მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოსთან", მაგრამ სისტემაზე ლაპარაკი, ცხადია, შეუძლებელია. არადა, მეცნიერულ კოლექტივსაც ჭირდება ცოდნა იმისა, თუ რამდენად შედეგიანია მისი კვლევა, რამდენად სწორია მისეული დასკვნები და რეკომენდაციები, რათა ამ გზით მოახდინოს პერსპექტიული მუშაობის კორექცია, გაითვალისწინოს მომავალ საქმიანობაში.

დამსახურებულ მეცნიერს ოპონენტობას მინისტრთა საბჭოს ეკონომიკის განყოფილება უწევს — პრინციპულს, ობიექტურს და ტაქტიანს (განხილვის დამთავრების შემდეგ სწორედ მის ამ მხარეს მიაქცევენ ყურადღებას მოწვეულები, და კიდევ, რაც მთავარია, პროფესიონალიზმსა და აკადემიურ დონეს მისას).

განზოგადებული დებულება განყოფილების დასკვნიდან:

„ეკონომიკის ინსტიტუტი მოწოდებულია უზრუნველყოს რესპუბლიკის სამეცნიერო-ეკონომიკური აზრი მტკიცე თეორიულ-მეთოდოლოგიური ბაზით. ამ პრობლემატიკისადმი მიძღვნილი ნაშრომები შეიცავს ორიგინალურ მიდგომებს, საკითხების ახლებურ გააზრებას. მაგრამ სიახლეების შემცველი გამოკვლევების რაოდენობა მაინც არ არის საკმარისი, არ შეესაბამება ინსტიტუტის პოტენციალს და მის დანიშნულებას... გამოყენებითი ხასიათის ნაშრომებსაც არა აქვთ სათანადო თეორიულ-მეთოდოლოგიური უზრუნველყოფა, ხოლო ზოგად-თეორიული გამოკვლევები, არც თუ იშვიათად, არსებითად მოწყვეტილია სამეურნეო და სოციალურ პრაქტიკას, მათი ავტორები არ ფლობენ სათანადო ზომით შესაბამის ინფორმაციას. სრულად ვერ ავლენენ მისი განზოგადების უნარს. ამის შედეგად ირღვევა ლოგიკური თანამიმდევრობა ზოგადიდან კერძოსაკენ, აბსტრაქტულიდან კონკრეტულისაკენ და პირიქით, არ გამოიკვეთება თეორიისა და პრაქტიკის შემაერთებელი ხიდი, პოზიცია. ეს კი ამცირებს გამოკვლევათა თეორიულ-შემეცნებით და პრაქტიკულ მნიშვნელობას".

კონკრეტული შენიშვნები კი ასეთია:

„ინსტიტუტი ნაკლებ ყურადღებას უთმობს პრაქტიკასთან ურთიერთობის წარმართვას სამეურნეოანგარიშებრივი პრინციპების საფუძველზე... უკანასკნელ წლებში შესრულებულია მხოლოდ ერთი სახელშეკრულებო თემა".

„თბილისისა და მისი რაიონების დარგთაშორის გაერთიანებებთან თანამშრომლობა 1986 წლიდან ფაქტობრივად შეწყდა, ვინაიდან თბილისის დარგთაშორისმა გაერთიანებამ უარი თქვა თემების დაფინანსებაზე".

„ეპიზოდურია ინსტიტუტის თანამშრომლობა ეკონომიკური პროფილის სამინისტროებთან და უწყებებთან".

„დახვეწა ჭირდება მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმისა და ინსტიტუტის ურთიერთობასაც"...

აკადემიურობა, მოგეხსენებათ, არ გამორიცხავს აზრთა დაპირისპირებასაც, ურთიერთგამომრიცხავი პრინციპების წამოყენებასაც. მძაფრი კამათი გამოიწვია რესპუბლიკის სტატსახკომის თავმჯდომარის რევაზ ბასარიას განცხადებამ, რომ ეკონომიკის ინსტიტუტის საქმეა ფუნდამენტური კვლევა, პრაქტიკული პრობლემებისათვის მან დრო არ უნდა დაკარგოს.

ორი განსხვავებული აზრი! რომელია მართალი? მივყვეთ სხდომის მსვლელობას, რომლის დროს პრაქტიკოსისა და მეცნიერის აზრი დაემთხვევა ერთმანეთს.

მელიტა რევაზიშვილი, მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს" მთავარი ეკონომისტი: — მეცნიერი მუშაკი სტაჟირებაზე ჩვენთან რომ მოვიდა, დაუყოვნებლივ მუშაობაში ჩავრთეთ. შედეგად მივიღეთ საინტერესოდ დამუშავებული, ახლებურად გადაწყვეტილი საწარმოო საკითხები. ჩვენც, პრაქტიკოსებიც მივეხმარეთ მისთვის საინტერესო თეორიული საკითხების დასაბუთებაში.

ავთანდილ გუნია, ინსტიტუტის დირექტორი, იგივე ფაქტს ინსტიტუტის მუშაობის აქტივად მიიჩნევს. — ამ მიმართებით საქმიანობა კვლავაც გაგრძელდება და გაფართოვდება, — ამბობს იგი.

ამონაწერი მინისტრთა საბჭოს ეკონომიკის განყოფილების მოხსენებითი ბარათიდან: „ბოლო ორი წლის მანძილზე ინსტიტუტის ოთხი თანამშრომლის სტაჟირების დროს მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოში" შესწავლილი და გამოკვლეულია ფეიქართა კოლექტივის ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების სხვადასხვა მხარე და კომბინატის რთული ფინანსური მდგომარეობის ყოველმხრივი ანალიზის საფუძველზე შემუშავებულია შესაბამისი ღონისძიებანი სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატიული ნაშთების მინიმუმამდე დასაყვანად, კომერციული სამსახურის გასააქტიურებლად, ძველი და ზარალიანი ნაწარმის წარმოებიდან მოსახსნელად, უხარისხო ნედლეულის მიწოდების აღმოსაფხვრელად, ბრიგადული იჯარის ფართოდ დასანერგავად, აქტიური სოციალური პოლიტიკის განსახორციელებლად. ანალოგიური სამუშაოები შესრულებულია საწარმოო გაერთიანება „საქენერგოში".

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს **ანდრია აფაქიძეს** სავსებით გამოკვეთილი პოზიცია აქვს: აკადემიური ინსტიტუტების წარმოებასთან კავშირი აუცილებელია. ამავე დროს მიიჩნევს, რომ პრაქტიკულ ეკონომიკაში მეცნიერული დასკვნების დანერგვა ჯერ კიდევ არ დგას საჭირო დონეზე. ერთი-ორი მაგალითი მხოლოდ კარგი დასაწყისია.

ამ საქმის კოორდინაციის გაძლიერების აუცილებლობის საკითხს მიაქცია ყურადღება აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, აკადემიკოს-მდივნის მოვალეობის შემსრულებელმა **როინ მეტრეველმა:** კოორდინაციის ფორმალური მხარე (აკადემიური პროგრამა), მართალია, მოსაგვარებელია,—თქვა მან, — მაგრამ ამ ფორმის შინაარსობრივად განმტკიცებაა საჭირო. აკადემიის ინსტიტუტებთან ერთად უმაღლესი სასწავლებლების შესაბამისმა კათედრებმაც უნდა მიიღონ აქტიური მონაწილეობა სახალხო მეურნეობის პრაქტიკული პრობლემების დამუშავების საქმეში, განსაკუთრებით კადრების მომზადების მხრივ.

თითქოს საკითხი თავისთავად ნათელია, მაგრამ ამ პოზიციას სახალხო დეპუტატთა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის დიმიტრი ლომაიას სახით მოულოდნელი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა (აღმასკომი, განსაკუთრებით ქალაქის ტერიტორიულ-დარგთაშორისი გაერთიანება, თითქოს დაინტერესებული უნდა იყოს მეცნიერების წარმოებასთან უშუალო კავშირით, მით უფრო, რომ ქალაქის საბჭოს ერთ-ერთ სესიაზე იგი სერიოზულად გააკრიტიკეს ამგვარი კავშირის არარსებობის გამო და, საერთოდ, საბჭოთა ხელისუფლების ამ ორგანოს მიერ მეცნიერული სფეროს იგნორირებისათვის თავის პრაქტიკულ საქმიანობაში).

დიმიტრი ლომაიას მიაჩნია, რომ აკადემიური ინსტიტუტი არამც და არამც არ უნდა დაუკავშირდეს უშუალოდ წარმოებას. რომ ეს ურთიერთობა მხოლოდ დარგთაშორისი გაერთიანების მეშვეობით უნდა განხორციელდეს.

სხდომის თავმჯდომარის შეკითხვა: — რა ურთიერთობა გაქვთ ამ ინსტიტუტთან?

დიმიტრი ლომაია: — არავითარი ურთიერთობა არა გვაქვს...

სხდომის თავმჯდომარე:

— დარგობრივი გაერთიანება, რომელსაც ქალაქში ეკონომიკის მართვა ევალება, როდესაც ბევრი საკითხი — ეკონომიკურიც და ორგანიზაციულიც — დაუმუშავებელია, თავად უნდა იყოს ეკონომიკის ინსტიტუტთან კავშირის დამყარების ინიციატორი, რასაკვირველია, თუ სურს შედეგიანად უხელმძღვანელოს ამ სფეროს. მეტიც, საკითხს უნდა შევხედოთ უფრო ფართოდაც: ხელისუფლების მიერ დარგის მართვის თვალსაზრისით.

კამათი გრძელდება. სტატსახკომის თავმჯდომარე აზრს არ იცვლის.

სხდომის თავმჯდომარე: — მაშასადამე სახალხო მეურნეობის მართვის პრობლემების მეცნიერულად დამუშავება არ უნდა იყოს აკადემიური ინსტიტუტის საქმე?

რევაზ ბასარია: — კი, რასაკვირველია, მაგრამ პრაქტიკული საქმეებით სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ინსტიტუტი უნდა ინტერესდებოდეს.

სხდომის თავმჯდომარე: — თეორიული ბაზის შექმნით და მისი პრაქტიკაში გამოყენებით არ უნდა დაინტერესდეს სამეცნიერო კოლექტივი?

რევაზ ბასარია: — უნდა დაინტერესდეს. მაგრამ განა ჩვენს სახელმწიფოს არა აქვს იმის შესაძლებლობა, რომ 50-100 მეცნიერი შეინახოს და მხოლოდ ფუნდამენტურ მეცნიერებაში მუშაობა მოსთხოვოს?

სხდომის თავმჯდომარე უპასუხებს, თუ რამდენი სახსრები გამოიყოფა რესპუბლიკის ბიუჯეტიდან აკადემიური ინსტიტუტების შესანახად. მაგრამ ეს არ გამორიცხავს, პირიქით, გულისხმობს, რომ ხელისუფლებამ, რომელიც ამდენს ხარჯავს მათს დაფინანსებაზე, ამავე დროს შეუკვეთოს საკითხებისა და პრობლემების დამუშავება მეცნიერულ კოლექტივებს. სახელმწიფო სახსრები უნდა გამოვიყენოთ მიზნობრივად.

— რამდენი თემის (პრობლემის) დამუშავება შეუკვეთა უკანასკნელ წლებში სტატსახკომმა მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტს? — შეკითხვა ამხანაგ რევაზ ბასარიას.

— არც ერთი.

— რატომ? ამის საჭიროება არ იყო?

ომარ ვარძელაშვილი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე: აკადემიურმა ინსტიტუტმა თავისი ძალები, საკმაოდ დიდი ძალებიც შეიძლება დასაქმოს გამოყენებითი მიმართულების მეცნიერებაში, მაგრამ მან უპირველესად მაინც ფუნდამენტურ სფეროში თეორიული დასკვნები უნდა მოგვცეს, რომლებსაც პრაქტიკაში გამოვიყენებთ და რომლებიც ასე გვჭირდება. ინსტიტუტს დავალებული აქვს საკმაოდ მნიშვნელოვანი საკითხების დამუშავება რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილებით, და ველით, რომ წარმოდგენილი პროდუქცია მაღალი ხარისხისა იქნება, თუმცა გვესმის, რომ ამის გაკეთება გაძნელდება.

ავთანდილ გუნია: საქართველოს ეკონომიკის განვითარების ფუნდამენტური პრობლემების შესწავლა ჩვენი ინსტიტუტის საქმეა. მაგრამ თუ ჩვენ გათვითცნობიერებული არ გვექნება კონკრეტული ცხოვრება, მეცნიერულ კვლევას ვერ გავამდიდრებთ. ამიტომ მივმართეთ ასეთ პრაქტიკას, და რატომ გვიშლით ხელს? როგორი უნდა იყოს საქართველოს ეკონომიკური მართვის მექანიზმი? ეს ჩვენი პრობლემაა. მაგრამ განა არ უნდა ვიცოდეთ, თუ კონკრეტულად როგორ უნდა დაინერგოს იგი ეკონომიკურ პროცესებში?

რევაზ ბასარია: მე მეგონა თქვენს სასარგებლოდ ვლაპარაკობდი...

ავთანდილ გუნია: პრაქტიკა გვიჩვენებს, სადა ვართ სწორი და სად შევცდით.

სხდომის თავმჯდომარის შემაჯამებელი სიტყვიდან:

ინსტიტუტი ძლიერი სამეცნიერო პოტენციალის მქონეა, კარგი ტრადიციები აქვს. სათანადო მარაგნაკეთი აქვს შექმნილი.

მაგრამ დღეს პირდაპირ უნდა ვთქვათ:

სოციალისტური მეურნეობრიობის ახალი ფორმების, მეთოდების, პრინციპების შესწავლის, გამოყენება-დანერგვის საქმეს ინსტიტუტი ჩამორჩა.

საკითხი შემთხვევით არ დამდგარა დღის წესრიგში. თბილისის სამეცნიერო დაწესებულებების წინაშე დაისვა რთული ამოცანა: შესაბამისი პროფილის პრობლემების რესპუბლიკის მასშტაბით დამუშავებასთან ერთად დაემუშავებინათ დედაქალაქის სახალხო მეურნეობის განვითარების საკითხებიც. მეცნიერებას რეგიონის ეკონომიკასთან მჭიდრო კავშირი უნდა ჰქონდეს. ზოგადად ეკონომიკა არ არსებობს. ასე დგას საკითხი. მაგრამ ჩვენ ვეძებთ მეორე კავშირსაც. დიდ კავშირს მეცნიერებასა და ხელისუფლების ორგანოს შორის. სხვანაირად მეცნიერული კვლევის კოორდინაცია გაჭირდება. ეს კოორდინაცია კი აუცილებელია.

თბილისში ეს კავშირი დღეს არ არსებობს, ასეთი ორგანიზაციული სტრუქტურა არ ჩამოყალიბებულა. დამკვიდრდა ერთი სქემა: საგეგმო კომიტეტი გეგმავს, ფინანსთა სამინისტრო სახსრებს გამოჰყოფს, მეცნიერებათა აკადემია თემატიკის მიხედვით პროპორციულად უნაწილებს ამ თანხას ინსტიტუტებს. მთავრობა ბიუჯეტიდან ასიგნებებს გამოჰყოფს ინსტიტუტებისათვის, რომლებიც ქალაქის ტერიტორიაზეა განლაგებული, ქალაქის ხელისუფლებამ კი არც იცის, რა პრობლემებზე მუშაობენ ეს სამეცნიერო კოლექტივები, არ ფიქრობს მათი მეცნიერული რეკომენდაციების დანერგვაზე ეკონომიკასა თუ სოციალურ სფეროში, შეკვეთის მიცემაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი.

მაგრამ გვინდა თუ არა, ასეთი ურთიერთდამოკიდებულების დამყარების აუცილებლობა გარდაუვალია.

ერთადერთი რგოლი მართვის არსებული სისტემიდან, რომელიც ახალ ვითარებას, მიმდინარე რეფორმებს უფრო მოერგო, ეს არის ქალაქის საბჭოს დარგობრივ-ტერიტორიული გაერთიანება. იგი კარგ პირობებს ქმნის მეცნიერებასთან ურთიერთობისათვის. მაგრამ ეს შესაძლებლობა არ იქნა გამოყენებული. მიზეზი სამეცნიერო თემატიკის შედგენის ინერციულად ჩამოყალიბებულ ტრადიციულ მეთოდში უნდა ვეძებოთ, როდესაც ინსტიტუტები მხოლოდ საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით, საკუთარივე შეხედულებებით, რომლებიც არცთუ იშვიათად არ ითვალისწინებდა ობიექტურ რეალობას და რესპუბლიკის საჭიროებას, სუბიექტურად შეარჩევდნენ თემებსა და პრობლემებს. სამწუხაროდ, ასეა დღესაც.

ინსტიტუტის თემატიკის განსაზღვრის პრინციპები ერთ-ერთი ცენტრალური საკითხია.

მთავრობა დღეს იცვლის დამოკიდებულებას ამ საკითხისადმი და აქტიური პარტნიორის პოზიციიდან აცხადებს: სამეცნიერო ინსტიტუტების თემები და პრობლემები, რომლებიც სახალხო მეურნეობის (და არა მარტო მისი) მართვის, გაძღოლის, რეფორმის პრაქტიკულ სფეროს ეხება, უნდა შეირჩეს შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან ერთად, მათთან შეთანხმებით. ხელისუფლებამ, რომელიც მეცნიერებას აფინანსებს, უნდა იცოდეს, რა თემატიკას ამუშავებენ მისთვის. მარტო მეცენატის როლს ხელისუფლება ვერ დასჯერდება.

ამ საფეხურიდან უნდა დაიწყოს თანამშრომლობა და გაგრძელდეს კვლევებით, რომლებიც [illegible] — [illegible] და პერსპექტიულიც. კვლევა — გამოყენებითიც და ფუნდამენტურიც. აქ მეცნიერებათა აკადემიამ განსაკუთრებული როლი უნდა შეასრულოს.

ეს გვავალია დღეს ჩვენც, მეცნიერებათა აკადემიასაც და მის ინსტიტუტებსაც.

ნებისმიერი მეცნიერების, მით უფრო საზოგადოებრივი მეცნიერების ამოცანა დღეს ის არის, რომ არსებული სინამდვილის, პრაქტიკის ღრმა და მრავალმხრივი ანალიზის საფუძველზე ახალი თეორიული დასკვნები მოგვცეს.

ეკონომიკურ მეცნიერებაში კლასიკოსების ნაშრომებში არ არის და არც შეიძლება იყოს ყველაფერი ის, რაც ხვალინდელ საქართველოს, საერთოდ სოციალისტური მეურნეობრიობის განვითარების ახალ საფეხურს გამოადგება. დოგმატური მიდგომის ნაყოფს დღეს ვიმკით. სამწუხაროდ, მთელმა ჩვენმა ეკონომიკურმა მეცნიერულმა აზრმა დღევანდელი მდგომარეობის ანალიტიკური სურათი ვერ მოგვცა. ეს არის მეტად სერიოზული მომენტი.

ამ კუთხით თუ შევხედავთ დასმულ ამოცანას, გაგვიჭირდება წყალგამყოფის მოძებნა ფუნდამენტურ და გამოყენებით მეცნიერებას შორის, იმდენად მჭიდროდაა ისინი ერთმანეთთან დაკავშირებული და ერთმანეთისაგან გამომდინარეობს.

გზა ერთადერთია (მე მხარს ვუჭერ ინსტიტუტის დირექტორის პოზიციას) — ახალი თეორიული საფუძვლები არსებული პრაქტიკის ღრმა ანალიზმა უნდა მოგვცეს. ინსტიტუტი ამ გზით უნდა წავიდეს, მით უმეტეს, როცა საკმაო მეცნიერული პოტენციალი აქვს: არის ახალგაზრდობა, რომელსაც ხელეწიფება მემკვიდრეობითობის პრინციპზე დაყრდნობით ტრადიციების გამდიდრება. მაგრამ საჭიროა მეცნიერებათა აკადემიამ, მთავრობამ იფიქრონ მათი კვალიფიკაციის ამაღლებაზე მსოფლიოს წამყვან სამეცნიერო ცენტრებში, მით უფრო, რომ ცალკეული სპეციალისტების ამ გზით მომზადების პრაქტიკული გამოცდილება რესპუბლიკას უკვე აქვს.

ინსტიტუტის კოლექტივმა გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვას რესპუბლიკაში ეკონომიკური სტრუქტურის არსებითად შეცვლის საქმეში. იგი ეკონომიკური და სამეურნეო ცხოვრების მოდელების პროექტებს უნდა გვაძლევდეს. თანაც ალტერნატიულს და არა მარტო ზოგად კონცეფციებს.

მეცნიერული პრობლემების დამუშავებისას აქტიურად უნდა გამოვიყენოთ ისეთი ახალი ფორმა როგორიცაა დროებითი სამეცნიერო კოლექტივები.

და ბოლოს: სერიოზული საინფორმაციო ბაზის შექმნა მეცნიერებისათვის. არა ის ფრაგმენტული და შემთხვევითი, რომელიც დღეს გვაქვს, არამედ სოლიდური, მრავალმხრივი, რომელიც ყველა განვითარებულ ქვეყანაში ამ მიზნისათვის არსებობს. ამასთან ერთად საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობის ოპერატიული ინფორმაციის მოპოვების საქმეც უნდა მოგვარდეს. აქ შეიძლება გამოვიყენოთ რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს დიდი შესაძლებლობანი, მით უფრო, რომ ამ სფეროს ანალიზს ჩვენი ქვეყნის ყველა საელჩო სისტემატურად აწვდის ცენტრს. მსოფლიოს ეკონომიკური გამოცდილების გათვალისწინება ჩვენ დღეს ძალიან გვჭირდება. მით უფრო, რომ ინსტიტუტმა უნდა იმუშაოს ისეთ უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე, როგორიცაა საკუთრების ფორმების გამოყენების ვარიანტები, ეკოლოგიის ეკონომიკური საფუძვლები და სხვა.

მაგრამ სრულიად გამორჩეულად დგას ეკონომიკური აზრის ისტორიის საკითხის შესწავლა. სხვადასხვა პერიოდის ცალკეულ ეკონომიკურ პრინციპებზე ლიტერატურა საკმაოდაა გამოცემული. მაგრამ დღეს ამ საკითხებისადმი ახალი მიდგომა გვჭირდება: გვაქვს კი გათვალისწინებული ქართული ეკონომიკური აზრი ხვალინდელი დღის განსაზღვრისათვის? სამწუხაროდ, არა.

ჩვენი ხალხის ტრადიციები, ჩვეულებანი, ფსიქიკა, კულტურა, გამოცდილება, თავისებურებანი, ქართული ფილოსოფიური აზრი, ქართული ეკონომიკური აზრი უნდა დაედოს საფუძვლად საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური სტრუქტურების ჩამოყალიბება-ფორმირებას.

სხვა გზა არ არსებობს.

გროვდება ეკონომიკური საკითხები, პრობლემები, და თავისთავად დგება მათი კოორდინატორის როლის საკითხიც. ეს რთული მისია სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა უნდა იკისროს. იგი უნდა იყოს ცენტრი, რომელიც უხელმძღვანელებს ეკონომიკური აზროვნების განვითარებას საქართველოში.

ერთი საკითხი, და სრული ორი საათი გაგრძელდა მისი განხილვა: დინამიკურად, დაძაბულად, საგნობრივად.

წარმოუდგენელია იმ თაღქვეშ, რომელსაც ეს საგაზეთო სვეტები შეუდგა, ყველა აქ წამოჭრილი ასპექტის განხილვა: ეკონომიკის სამართლებრივი საფუძვლების, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ფუნდამენტურ კვლევათა სიღრმისა და პერსპექტივის შესახებ და ა. შ. და ა. შ.

სადღაც ხომ უნდა დაისვას წერტილი?

მაგრამ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის ამ სხდომაზე ბევრი სხვა საკითხიც განიხილეს, რომელთა მიმართ ინტერესი განსაკუთრებულია.

ამაზე სხვა გაზეთებში წაიკითხავთ.

თვალი ადევნეთ რესპუბლიკის პრესას.

გიორგი კორძაია.

სოლიკო ვირსალაძის სახელის უკვდავსაყოფად

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება გამოჩენილი ქართველი მხატვრის, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატის, სსრ კავშირის სახალხო მხატვრის სოლიკო (სიმონ) ვირსალაძის სახელის უკვდავსაყოფად.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს დაევალა თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომთან და საქართველოს მხატვართა კავშირთან ერთად, ს. ბ. ვირსალაძის მემკვიდრეებთან შეთანხმებითა და თანამშრომლობით, საჭირო ღონისძიებები შეიმუშაონ და გაატარონ გამოჩენილი შემოქმედის სახლ-მუზეუმის დასაარსებლად; ს. ბ. ვირსალაძის შემოქმედებითი მემკვიდრეობის შესწავლისა და მოვლის მიზნით უზრუნველყოს საბჭოთა კავშირის თეატრების სცენაზე დადგმული ყველა იმ სპექტაკლის ფოტო და ვიდეოფიქსირება, რომელთა მხატვრული გაფორმებაც ს. ბ. ვირსალაძეს ეკუთვნის; მხატვრის სახლ-მუზეუმში თავი მოუყარონ მის მიერ შექმნილი კოსტიუმების ნიმუშებს. გარდა ამისა, 1990 წლიდან თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სტუდენტებისათვის დაწესდება ს. ბ. ვირსალაძის სახელობის ერთი სტიპენდია, საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის მუდმივ ექსპოზიციაში ჩაერთვება ს. ბ. ვირსალაძის ნამუშევრები, ხოლო ერთ-ერთ სამხატვრო სკოლას მისი სახელი მიეკუთვნება.

საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტთან თანამშრომლობით მოამზადებს და გამოსცემს ს. ბ. ვირსალაძის შემოქმედებისადმი მიძღვნილ წიგნს და ალბომს.

თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს დაევალა ს. ბ. ვირსალაძის სახელი მიაკუთვნოს ინგინრის ქუჩას, სადაც მხატვარი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. სახლს გაუკეთდება მემორიალური დაფა, დაიდგმება ს. ბ. ვირსალაძის ბიუსტი.

საქართველოს საზღვაო სანაოსნოს წინადადება მიეცა სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის სამინისტროს წინაშე აღძრას საკითხი ერთ-ერთი მშენებარე გემისათვის ს. ბ. ვირსალაძის სახელის მიკუთვნების შესახებ.

გადაწყდა, რომ თეატრის მხატვართათვის დაწესდება სახელმწიფო პრემია. შესაბამისი წინადადებისა და პრემიის დებულების შემუშავება დაევალათ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, საქართველოს მხატვართა კავშირსა და საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირს.

ქალაქებს — საიმედო სასურსათო მომარაგება

გამოძებნონ რესურსები, სტაბილური გახადონ თბილისისა და რესპუბლიკის სხვა სამრეწველო ცენტრების სურსათით მომარაგება — ეს უნდა დაისახონ მიზნად მომწოდებლებმა, ყველა იმ სამსახურმა, რომლებზეც მეტნაკლებად დამოკიდებულია ამ პრობლემის გადაჭრა. ასე დასკვნეს სასურსათო პროდუქტების წარმოების, დამზადების, შენახვისა და ვაჭრობის გაუმჯობესების სამუშაო ჯგუფის მორიგ გაფართოებულ სხდომაზე, რომელიც გაიმართა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში. სხდომას უძღვებოდა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. მელქაძე.

ინფორმაციებში, რომლებიც გააკეთეს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საცალო ვაჭრობის სამმართველოს უფროსმა დ. ჩიჩუამ, რესპუბლიკური საწარმოო-სამეცნიერო გაერთიანება „საქფრინველმრეწვის“ თავმჯდომარემ ვ. გვარჯალაძემ, სამრეწველო-სავაჭრო ფირმა „თბილისღვინოს“ გენერალურმა დირექტორმა თ. კაკელიძემ, რესპუბლიკური გაერთიანება „საქთევზმრეწვგასაღების“ უფროსმა გ. მეტრეველმა, გაერთიანება „საქკონდიტერის“ გენერალურმა დირექტორმა ვ. ცაგარეიშვილმა, გაერთიანება „თბილისხილწყლების“ გენერალურმა დირექტორმა თ. ჭყონიამ, თბილისის, რუსთავის და სხვა ქალაქების სურსათით უზრუნველყოფასთან დაკავშირებული სხვა სამსახურებისა და ქვეგანაყოფების ხელმძღვანელებმა, აღინიშნა, რომ ამ საახალწლო დღეებში იღებენ ქალაქელებისათვის სხვადასხვა პროდუქციის შემოტანის გაზრდის ზომებს. მაგალითად, რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტრომ გამონახა რესურსები სავაჭრო ქსელში დამატებითი რაოდენობით ხორცის მისაწოდებლად, იზრდება ფრინველის ხორცის მიწოდება — ჩვეულებრივი 25 ტონის ნაცვლად 31 ტონამდე, და კვერცხისა — დაახლოებით 1220 ათასი ცალი ყოველდღიურად.

გაუმჯობესდა ზეთის მიწოდების საქმე. ამჟამად თბილისის მაღაზიებში აქვთ დაახლოებით 145 ტონა ზეთი, რასაც კიდევ 150 ტონა დაემატება, ასე რომ, ახლო მომავლისათვის ეს პრობლემა გადაიჭრება. დადგენილი ფონდის გადამეტებით იგზავნება სავაჭრო ქსელში მაიონეზი. ამავე დროს შესაბამისი ტარის ნაკლებობა აფერხებს მის დაფასოებას. ამ საკითხის გადაწყვეტაში ბევრი რამ არის დამოკიდებული მოსახლეობაზე, მაღაზიებში ცარიელი ჭურჭლის დროულ ჩაბარებაზე. იგივე შეიძლება ითქვას ღვინის ბოთლებზეც. ფირმა „თბილისღვინოს“ აქვს შესაძლებლობა ქალაქს უფრო მეტი სასმელი მიაწოდოს, თუ ტარა იქნება.

კვლავ შეეხო საუბარი მარილს. საცალო ქსელში აქვთ დაახლოებით 170 ტონა მარილი. უახლოეს დღეებში ეს რაოდენობა 700 ტონამდე გაიზრდება.

გაფართოებული სხდომის მონაწილეებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს საახალწლო ვაჭრობას. იგი უკვე პრაქტიკულად დაიწყო და 31 დეკემბრამდე გასტანს. ამ დროის განმავლობაში გათვალისწინებულია დამატებით შემოიტანონ სხვადასხვა პროდუქტი. მაგალითად, ქალაქის მაღაზიები ყოველდღიურად იღებენ 125-125 ტონა ფქვილს, რაც ჩვეულებრივზე 5 ტონით მეტია. არ არის გათვალისწინებული გართულებები ბრინჯთან, მაკარონთან, ბურღულთან და სხვა ნაწარმთან დაკავშირებით. ქალაქში უკვე იღებენ ძმარს, აგრეთვე ასანთს და სურსათ-საქონელს, რომელიც უკანასკნელ დღეებში დეფიციტი გახდა. გარკვეული სიძნელეები წარმოიქმნა კონსერვებთან და თევზეულთან დაკავშირებით. განხორციელდა ხილისა და ბოსტნეულის კონსერვების და თევზეულის მიწოდების სტაბილიზაციის საქმეში წარმოქმნილი ნაკლოვანებების მოწესრიგების ოპერატიული ზომები. მაგალითად, გაერთიანება „საქთევზმრეწვგასაღება“ შეუდგა მოქალაქეთათვის ახალგაყინული თევზის მიყიდვას გაფართოებული ასორტიმენტით. ეს არის სკუმბრიის ფილე, რომელზეც დიდი მოთხოვნაა, აგრეთვე ვირთევზა, მაკროუსი და სხვა თევზი. ახალი წლისათვის თბილისელები შეძლებენ შეიძინონ აგრეთვე დაკონსერვებული ქაშაყი, საირა, რომლის ორი ვაგონი უკვე განტვირთულია და კიდევ სამი ვაგონი გზაშია. მივიღებთ 45 ტონა დამარილებულ ქაშაყსაც.

ქალაქის მცხოვრებლებსა და სტუმრებს ახალი წლის წინ ხილბოსტნეულისა და დაკონსერვებული პროდუქციის ფართო ასორტიმენტს სთავაზობს თბილისაგრომრეწვი.

საახალწლო ვაჭრობაში ჩაებმებიან სხვა უწყებებიც, რომლებსაც აქვთ სამრეწველო ცენტრებში სურსათ-სანოვაგის შეტანის შესაძლებლობა. უახლოეს დღეებში რესპუბლიკის სოფლის რაიონები თბილისელებს მიაწვდიან სოფლის მეურნეობის სხვადასხვა პროდუქციას. საახალწლო ბაზრობები ეწყობა ქალაქის სხვადასხვა რაიონში. მაღაზიებსა და უნივერმაღებში უკვე იყიდება ნაძვისხეები, ნაძვისხის სათამაშოები და სხვა საახალწლო საქონელი.

(საქინფორმი).

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში

22 დეკემბერს თბილისში, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს შენობაში მორიგი სხდომა გამართა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ. სხდომაში მონაწილეობდნენ მთელ რიგ უწყება-სამინისტროთა ხელმძღვანელები, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლები.

სხდომის დაწყების წინ მონაწილეებმა წუთიერი დუმილით სცეს პატივი საავტომობილო კატასტროფის შედეგად დაღუპული ღირსეული ქართველი მამულიშვილის ზურაბ ჭავჭავაძის ხსოვნას.

სხდომაზე შეაჯამეს საარჩევნო კამპანიის დაწყებიდან გაწეული მუშაობის შედეგები, განსაზღვრეს ამ უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ღონისძიების შემდგომი განხორციელების კონკრეტული ამოცანები.

კომისიამ მოისმინა ინფორმაციები საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების სამზადისის შესახებ: ქალაქ რუსთავში, სადაც გამოვიდნენ რუსთავის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე თ. დალაქიშვილი და კომისიის წევრი, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების წარმომადგენელი ვ. იმნაიშვილი, და თელავის რაიონში, — სადაც გამოვიდნენ თელავის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გ. ბეციაშვილი და კომისიის წევრი, ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიას“ მთავარი რედაქტორი რ. ჩიმინოშვილი.

საარჩევნო კამპანიის ორგანიზებულად მოწყობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებზე გამოვიდნენ საქართველოს სსრ სახმომარაგების თავმჯდომარის მოადგილე ქ. ვალიშვილი, საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის პირველი მოადგილე ა. წილოსანი, ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე მ. ჭუმბურიძე, საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ა. ბრეგაძე.

საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებთან ცენტრალური საარჩევნო კომისიის მყარი კავშირის ორგანიზაციისათვის გაწეული მუშაობის შესახებ ილაპარაკა საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრის პირველმა მოადგილემ მ. ინაურმა.

„საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების“ კანონის ბევრი ახალი მოთხოვნის სიახლის გამო ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გადაწყვიტა გაუგზავნოს საინსტრუქტაჟო წერილი საოკრუგო და საუბნო საარჩევნო კომისიებს. წერილში მოცემულია არჩევნების ორგანიზაციისა და მოწყობის კონკრეტული რეკომენდაციები, რათა საარჩევნო კამპანიის ყველა სტადიაში უზრუნველყონ დემოკრატიული ნორმები და პრინციპები, კარგახსნილობა და საჯაროობა.

კომისიამ განიხილა საკითხები საარჩევნო დოკუმენტების ფორმებისა და საარჩევნო ყუთების, საარჩევნო ბიულეტენების ნიმუშების შესახებ.

არჩევნების ორგანიზაციის მონაწილე ყველა კომისიის ყურადღება მიეპყრო იმას, რომ უზრუნველყონ სიზუსტე და სამართლებრივი კულტურა დოკუმენტებზე მუშაობაში, განუხრელად შეასრულონ კანონმდებლობის მოთხოვნები ამ საკითხებზე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ვ. კვარაცხელიამ გააკეთა ინფორმაცია საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიების შექმნის შესახებ.

სხდომაზე შეიქმნა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შემოსულ საჩივარ-წინადადებათა განხილვის სამუშაო ჯგუფი, იმსჯელეს მთელ რიგ სხვა საკითხებზე, რომლებიც არჩევნების სამზადისთან არის დაკავშირებული. დამტკიცებულია ცენტრალური საარჩევნო კომისიის 1990 წლის იანვრის სამუშაო გეგმა. (საქინფორმი).

უცხოეთში

საქდესი იუწყება
23 დეკემბერი

რუმინეთის ამბები

ბუქარესტი. საქდესის კორესპონდენტები დიმიტრი დიაკოვი, ვადიმ მალიუტინი და ნიკოლოზ მოროზოვი იუწყებიან: ბუქარესტში, სადაც მთელ ღამეს მიმდინარეობდა გააფთრებული ქუჩის ბრძოლები აჯანყებული მოსახლეობის მხარეზე გადმოსულ ჯარის ქვეგანაყოფებსა და ჩაუშესკუს ერთგული უშიშროების ძალების ნაწილებს შორის კრიზისული სიტუაცია შეიქმნა. მეამბოხეთა მოწინააღმდეგე ძალები, რომლებიც ცდილობდნენ, რადაც უნდა დაჯდომოდათ, ხელში ჩაეგდოთ ქალაქის საარსებო მნიშვნელობის ცენტრები, შეიჭრნენ ტელეცენტრის ტერიტორიაზე, სადაც ბრძოლა ატყდა. ცოტა ხნით შეწყდა გადაცემები, რომელთა მონაწილენი გამუდმებით მოუწოდებენ ბუქარესტელებს გამოვიდნენ ქუჩებში, რათა დაეხმარონ ჯარებს. მოდის ცნობები ტიმიშოარაში, ბრაშოვში, სიბიუსა და სხვა ქალაქებში მიმდინარე საბრძოლო მოქმედების შესახებ.

საქდესის კორესპონდენტები იყვნენ სასახლის მოედანზე, სადაც გაცხარებული სროლაა ამბოხებულთა ძალებსა და სახელმწიფო საბჭოს სასახლეში ჩასაფრებულ ნ. ჩაუშესკუს მომხრეებს — მისი პირადი დაცვის საგანგებო დანიშნულების ქვეგანაყოფებს შორის. მოედანი ალყაშემორტყმულია ამბოხებულთა ტანკებითა და ჯავშანტრანსპორტიორებით, რომლებიც ცეცხლს უშენენ სასახლეს. მათ ჩამტვრეული ფანჯრებიდან სროლითვე უპასუხებენ შენობაში მყოფი ტერორისტები — ასე უწოდებენ აქ უშიშროების ძალებს, რომლებიც ჩაუშესკუს რეჟიმის ერთგულნი დარჩნენ. ტყვიების ზუზუნია მოედნის მახლობელ ქუჩებში, ცენტრალური კომიტეტის შენობის წინამდებარე მოედანზე, სადაც განუწყვეტლივ დადიან „სასწრაფო დახმარების“ მანქანები, რომლებსაც დაჭრილები მიჰყავთ.

ბევრი სამოქალაქო პირი, რომლებსაც ეროვნული დროშისფერი სამკლაურები უკეთიათ, აქტიურად ეხმარებიან ამბოხებულებს — მიაქვთ ტყვია-წამალი და ცხელი კერძები, უამბობენ, რა მდგომარეობაა ქალაქის სხვა ადგილებში.

რუმინეთის თავისუფალმა ტელევიზიამ გამოსცა ცნობა, რომ შეიქმნა ეროვნული ხსნის ფრონტის საბჭო. ცნობაში, რომელიც ი. ილიესკუმ წაიკითხა, ნათქვამია, რომ რუმინეთს დაუდგა ისტორიული მომენტი, ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში ახალი ფურცელი გადაიშალა. ფრონტის მიზანია რუმინელი ხალხის ღირსებისა და თავისუფლების, დემოკრატიის დამკვიდრება. აუქმებენ ჩაუშესკუს კლანის ხელისუფლების ყველა სტრუქტურას. მთავრობა, სახელმწიფო საბჭო და მისი ინსტიტუტები წყვეტენ არსებობას. სახელმწიფოში მთელი ძალაუფლება გადადის ეროვნული ხსნის ფრონტის საბჭოს ხელში, რომელშიც შედიან ოპოზიციის ცნობილი მოღვაწენი, პარტიისა და მთავრობის ყოფილი ხელმძღვანელები, სხვადასხვა დროს რომ გადააყენებია ნ. ჩაუშესკუს, სამხედროები. მას დაექვემდებარება უმაღლესი სამხედრო საბჭო, რომელიც კოორდინაციას უწევს არმიის მთელ საქმიანობას.

ფრონტის პროგრამაში, კერძოდ, შეტანილია დებულებები, რომ გაიმართოს თავისუფალი არჩევნები გაისად აპრილში, აირჩიონ ყველა პოლიტიკური ხელმძღვანელი ერთი ან მაქსიმუმ ორი ვადით, შეუცვალონ სახელწოდება ქვეყანას. გარდაქმნან ეკონომიკა, საგარეო ვაჭრობა და განათლება.

რუმინეთი, ნათქვამია პროგრამაში, პატივს სცემს ყველა ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებას, უწინარეს ყოვლისა, ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

რუმინეთის რადიომ გადასცა სახელმწიფო უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების სარდლის გენერალ-პოლკოვნიკ ი. ვლადას მიმართვა ხალხისადმი. მან აღნიშნა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო და მისი ყველა ქვეგანაყოფი ჯართან ერთად იბრძვიან ერისა და რუმინელი ხალხის ხსნისათვის, მოუწოდა ხალხს დაეხმაროს ამ ბრძოლაში.

ბუქარესტი. „რომინია ლიბერემ“, რომელიც დღეს გამოვიდა ახალი ქვესათაურით „რუმინეთის მთელი პატრიოტული და დემოკრატიული ძალების ყოველდღიური გაზეთი“, გამოაქვეყნა აჯერპრესის წერილი „მტარვალის მოოქროლ ბუნაგში...“ იგი აღწერს პრიმავარეს ბულვარზე მდებარე სასახლეს, რომელშიც სულ რამდენიმე საათის წინ დიქტატორი ცხოვრობდა.

ფეხბურთი-89

გზაჯვარედინზე

თავიდან ასე გვქონდა ჩაფიქრებული: უპირატესად 1989 წლის საფეხბურთო სეზონის შედეგებზე გვესაუბრა და მკითხველისთვის განვლილი ბატალიების საგულისხმო ეპიზოდები შეგვეხსენებინა. ჩვენდა უნებურად საუბარმა მინდვრის მართკუთხედიდან სხვა სიბრტყეშიც გადაინაცვლა და საკითხთა შედარებით ფართო წრე მოიცვა. ეს, ალბათ, ბუნებრივიც არის. ჩვენს ფეხბურთში იმდენი პრობლემა დაგროვდა, ფიქრი ძალაუნებურად იქითკენ გარბის, თანაც საფეხბურთო არდადეგების ეს პერიოდი აზრთა გაზიარებისათვის, სწორედ რომ, მოხერხებული დროა. კამათი და შეხედულებათა შეჯერება, ჩვენი ღრმა რწმენით, იმ შემთხვევაში შეიძლება სასარგებლო იყოს, როცა საერთო საქმის გაუმჯობესების სურვილს ემყარება და გამორიცხავს ვინმესთან პიროვნულ დაპირისპირებას. ჩვენ შევეცადეთ ამ პრინციპისთვის არ გვეღალატა, თუმცა, ეჭვი არ არის, აქ გამოთქმულ მოსაზრებებს არა ერთი და ორი ოპონენტი ეყოლება.

ინტერესით დაველოდებით თქვენს გამოხმაურებას.

ელგუჯა ბერიშვილი,
„კომუნისტის“ სპორტული მიმომხილველი.
დავით კაკაბაძე,
სპორტული ჟურნალისტი.



ე. ბერიშვილი: იმით დავიწყებ, რომ რედაქციაში რამდენიმე დღის წინ შემოსული ერთი წერილის ფრაგმენტს წაგიკითხავ. თბილისელი ავთანდილ გიორგობიანი გვწერს: „არ ვიცი, ვინ როგორ ფიქრობს, მაგრამ მე მგონია, რომ სპორტული პრესა ყველას ავტორიტეტს უფრთხილდება, საკუთარის გარდა. ქართული ფეხბურთი და მისი ე. წ. ფლაგმანი თბილისის „დინამო“ ამდენი ხანია შოკიდან ვერ გამოსულა და ამ დროს საგაზეთო სტატიათა მორიდებული ტონი, ცოტა არ იყოს, გაკვირვებას იწვევს. იმას არ მოგიწოდებთ, თბილისის „დინამოსა“ და ფეხბურთის სამმართველოს ხელმძღვანელებს გაზეთიდან ზარბაზნები დაუშინეთ-მეთქი, მაგრამ სათქმელი პირდაპირ და მკაფიოდ თუ არ ითქვა, კიდევ დიდხანს არ გვეშველება. მაგალითად, რატომ არ უნდა ითქვას, რომ...“ აქ შევწყვიტავ ციტირებას — გიორგობიანის ამ უთუოდ საყურადღებო წერილს მკითხველი მთლიანად გაეცნობა „კომუნისტის“ ერთ-ერთ უახლოეს ნომერში. დავით, ალბათ მიმიხვდი, ჩვენს საუბარს წერილის ეს ნაწილი რატომ წავუმძღვარე.

დ. კაკაბაძე: ვღებულობ გამოწვევას და ვეცდები მაქსიმალურად გულწრფელი და პირდაპირი ვიყო. სხვათა შორის, შემთხვევითი არ არის, რომ გულშემატკივართა ერთი ნაწილი ფეხბურთის ჩამორჩენას, ბევრ სხვა რამესთან ერთად, სპორტული პრესის პასიურობასაც უკავშირებს. კეთილგანწყობილი და, რაც მთავარია, დროული კრიტიკა, ვითარების ობიექტური შეფასება პროგრესის აუცილებელი ელემენტია. აქ არაერთი მწვავე და მძაფრი პუბლიკაციის ჩამოთვლა შემეძლო, მაგრამ ამ პუბლიკაციებს ერთი სერიოზული ნაკლი აქვს — მოვლენების შემდეგ არის დაწერილი. მას შემდეგ, როცა ურემი უკვე გადაბრუნებულია. როცა მწვრთნელი თუ რომელიმე პასუხისმგებელი პირი გადაყენებულია თანამდებობიდან, ან კრიტიკაზე „სანქცია“ ზემოდან არის გაცემული. მერე იცოცხლეთ, კრიტიკა იოლია, მაგრამ ეს საქმეს ნაკლებად შველის... ალბათ ამას გვსაყვედურობს ავტორი.

ე. ბერიშვილი: ერთი რამ საკამათო არ უნდა იყოს. ქართული ფეხბურთის, თბილისის „დინამოს“ ბედი მეტ-ნაკლებად ყველას გვაფიქრებს და გვაწუხებს: მწვრთნელს, ფეხბურთელს, გულშემატკივარს, სპორტკომიტეტის თავმჯდომარეს თუ სპორტულ ჟურნალისტს. გვაწუხებს ის, რომ 1981 წლის ტრიუმფის შემდეგ „დინამომ“ ავანსცენიდან ერთბაშად კულისებში გადაინაცვლა და აქამდე წელში ვერ გამართულა. როგორ გინდა ხალხი დაარწმუნო, რომ ეს კანონზომიერია, ობიექტური მიზეზებით არის გამოწვეული, რომ თბილისის „დინამოს“ წლევანდელი მეთერთმეტე ადგილი ზუსტად ესადაგება ჩვენი ფეხბურთის რეალურ შესაძლებლობებს... შარშან, თითქმის შუა სეზონში, „დინამო“ ახალმა ხელმძღვანელობამ ჩაიბარა. (ახალს პირობითად ვამბობ, დავით ყიფიანი ადრეც — თუმცა ხანმოკლე ვადით — უძღვებოდა გუნდს). მოხდა უპრეცედენტო შემთხვევა. ფეხბურთელებს უფროსი მწვრთნელის არჩევანის საშუალება მისცეს. გუნდმა არჩევანი ყიფიანზე შეაჩერა. წლევანდელი სეზონის წინ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა: „დინამომ“ პროფესიული საფეხბურთო კლუბის სტატუსი მიიღო. ამ პერიოდში, ფაქტობრივად, დასრულდა თაობათა ცვლის პროცესიც. ერთი სიტყვით, თითქოს შეიქმნა იმის წანამძღვრები, რომ დინამოელთა თამაშში პოზიტიური ცვლილებები მომხდარიყო. სამწუხაროდ, არ გამართლდა ფეხბურთის მოყვარულთა ერთი ნაწილის ოპტიმიზმი. პირიქით, „დინამოსათვის“ ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე უსახური გამოსვლა საკავშირო ჩემპიონატების ისტორიაში. გუნდს მთელი სეზონის მანძილზე, შეიძლება ითქვას, ერთადერთი საზრუნავი ჰქონდა: უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება. მართალია, სეზონის წინ მწვრთნელებს თამასუქები არ გაუციათ, დიდი მიზნები არ დაუსახავთ, მაგრამ ეს ვერაფერი შეღავათია გულშემატკივართათვის, რომელთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა, რა დასამალია, ხელი ჩაიქნია და სტადიონისაკენ არც გაუხედავს. დამეთანხმები, გუნდისა და გულშემატკივრების გაუცხოება ერთობ საშიში სიმპტომია.

დ. კაკაბაძე: არ მინდა მოვლენებს დავასწრო და ვინმეს ჩემი აზრი მოვახვიო თავს, მაგრამ პირადად მე ახლო მომავალში ხელშესახები წინსვლის იმედი არა მაქვს. ეს ვარაუდი რამდენიმე ფაქტს ემყარება. უწინარესად, ალბათ, ის უნდა ვაღიაროთ, რომ „დინამოში“ სერიოზული კრიზისია. მთელმა ჩემპიონატმა ისე ჩაიარა, რომ ვერა და ვერ გამოიკვეთა გუნდის ხელწერა, თამაშის სტილი. არადა, ერთი სეზონი პატარა დრო არ არის იმისათვის, რომ, თუ კოლექტივი მართლა განახლების გზაზე დგას, პირველი შედეგები მაინც გამოჩნდეს. ოცდაათი კალენდარული მატჩიდან ორი-სამი თუ მახსენდება, სადაც „დინამო“ „დინამოს“ ჰგავდა, საუკეთესო კი, ალბათ, „სპარტაკთან“ თბილისში გამართული სათასო შეხვედრა იყო. თითქოს პარადოქსია: მომავალ ჩემპიონს ვაჯობეთ, მათ შორის — მოსკოვშიც, ლიგის მდარე გუნდებს კი, შინ თუ გარეთ, ამდენი ქულა ჩამოვურიგეთ. მიაქციეთ ყურადღება: დინამოელებმა საკუთარ მოედანზე ქულათა თითქმის ნახევარი დაკარგეს. ასეთი ცუდი მაჩვენებელი, თუ არ ვცდები, აქამდე არც გვქონია. და ყველაფერი ეს ხდება საშუალო დონის ჩემპიონატის ფარგლებში (საბჭოთა საკლუბო ფეხბურთს რომ არ ულხინს, ამის დასტურად ევროპული თასების ამასწინანდელი მატჩებიც იკმარებს)...

ე. ბერიშვილი: მე კვლავ ფეხბურთის მოყვარულთა წერილებს მივუბრუნდები. ჩემპიონატის მსვლელობისას, განსაკუთრებით ფინიშზე, რედაქციამ არაერთი კორესპონდენცია მიიღო. გულშემატკივართა ერთი ნაწილი კატეგორიულია, უნდობლობას უცხადებს დინამოელთა ხელმძღვანელობას და რადიკალურ ზომებს მოითხოვს. სხვების აზრით, სულსწრაფობა არ გვარგებს და აუცილებელია კლუბს დრო და მშვიდი, სრულფასოვანი მუშაობის საშუალება მივცეთ. როგორც ხედავთ, გამოკვეთილია ორი ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიცია და ამაში მოულოდნელი არაფერია. სხვათა შორის, ორივე მხარეს თავისი არგუმენტი აქვს, მაგრამ ახლა იმის გარჩევას არ ვაპირებ, რომელია უფრო სარწმუნო და დამაჯერებელი. ერთ საკითხს კი მინდა შევეხო. როცა რომელიმე სპორტის სახეობაში, ამჯერად ფეხბურთში, კრიზისული ვითარება იქმნება, ჩვეულებრივ, კონკრეტული პასუხისმგებლის დადგენა ჭირს. ვის უნდა მოვკითხოთ იმისათვის, რომ თბილისის „დინამო“ ასეთ დღეშია? უპირველესად, ალბათ, გუნდის ხელმძღვანელობას. გვეტყვიან: რეზერვი არ მოდის, ბავშვთა ფეხბურთში საქმე ჩაშლილიაო. ბავშვთა სპორტის მესვეურებს? ჩვენი რა ბრალია, მუშაობის ელემენტარული პირობები არა გვაქვსო. ფეხბურთის სამმართველოს? „დინამოს“ საქმეებში ჩვენ ნაკლებად ვერევითო. ფეხბურთის ფედერაციას? უფლებები შეზღუდული გვაქვსო. ბოლოს და ბოლოს, ვინ ტყუის და ვინ მართალია? ამდენ კითხვის ნიშანს ძახილის ნიშანსაც მივაყოლებ: ტყუის სისტემა, რომლითაც ჩვენს საფეხბურთო მეურნეობას ვუძღვებით! სისტემა, რომელიც უსისტემობას ამკვიდრებს აქედან გამომდინარე ყველა შედეგით. ფეხბურთის მართვის პრინციპულად ახალი მექანიზმის დამკვიდრების აუცილებლობა დღეს ეჭვს არ იწვევს, მაგრამ კონკრეტული ნაბიჯები არა ჩანს. აქ ერთი ამბავი მინდა გავიხსენო. დაახლოებით ერთი წლის წინ რესპუბლიკის ფეხბურთის სამმართველოდან შემატყობინეს: ფეხბურთის კავშირის საორგანიზაციო ჯგუფში შეგიყვანეთ, ამა და ამ რიცხვში პირველი სხდომა გვექნებაო. პირველი სხდომა... დღემდე არ გამართულა. მიზეზს გვიან მივხვდი. მაშინ, თუ გახსოვს, დღის წესრიგში იდგა სსრ კავშირის ფეხბურთის კავშირის შექმნა და „ცენტრის დიქტატის“ გავლენით, ჩვენც დავფაცურდით. კავშირის შექმნის იდეა ჩაიშალა და ჩვენც გავჩერდით, მომავალი განკარგულების მოლოდინში ვართ. ამასობაში მოსკოვში ჩამოყალიბდა პრინციპულად ახალი ორგანიზაცია — ფეხბურთის ლიგათა კავშირი, რომლის „ფილიალი“, ცხადია, რესპუბლიკებში, მათ შორის ჩვენთანაც, ვერ იარსებებს. ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა დავრწმუნდეთ, რომ ქართული ფეხბურთის მართვის მექანიზმის შექმნა ჩვენვე მოგვიწევს. ამასთან დაკავშირებით ერთი კონკრეტული წინადადება მაქვს: იქნებ მოვახერხოთ და ახლო მომავალში ფეხბურთის მწვრთნელ-სპეციალისტთა, პროფესიონალ მუშაკთა დიდი შეკრება გავმართოთ იმ ვარაუდით, რომ ამ შეკრებაზე გაჩაღდება ფართო საუბარი ჩვენი ფეხბურთის ყველაზე აქტუალურ საკითხებზე. რესპუბლიკის სპორტსახკომის ხელმძღვანელობა, როგორც ჩანს, მზად არის ამ ნაბიჯის გადასადგმელად. ამას წინათ „ლელო“ იუწყებოდა, რომ სპორტსახკომმა, სპეციალისტთა მონაწილეობით, უკვე იმსჯელა ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის გამართვის თაობაზე და ახლა, საზოგადოებრიობის აზრს სწავლობს. ვიდრე ამ საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილებას მივიღებდეთ, ჩემი აზრით, უნდა გადაწყდეს მთავარი: ვინ უხელმძღვანელებს ქართულ ფეხბურთს? ვინ იკისრებს კონკრეტულ პასუხისმგებლობას ხვალ და ზეგ მისაღები პრინციპული გადაწყვეტილებებისათვის?

დ. კაკაბაძე: შენს მიერ შემოთავაზებული საკითხის ირგვლივ მერე ერთ-ორ სიტყვას მეც ვიტყვი, მანამდე კი ისევ წლევანდელ საფეხბურთო სეზონზე შევჩერდები. ეს სეზონი ჩვენი ფეხბურთისათვის ერთმნიშვნელოვანი არ ყოფილა. ვიდრე თბილისის „დინამო“ უძლიერესთა შორის დასარჩენად ზრუნავდა, უმაღლეს ლიგაში გადასასვლელად იბრძოდა ლანჩხუთის „გურია“. ლანჩხუთელმა ფეხბურთელებმა ჩინებულად გაართვეს თავი ამოცანას და გაისად დინამოელთა მხარდამხარ ითამაშებენ. ამას გარდა, პირველ ლიგაში დაწინაურდა სოხუმის „დინამო“. თუ არ ვცდები, პირველი შემთხვევაა, როცა ჩვენი რესპუბლიკა საბჭოთა ფეხბურთის მაღალ ეშელონში ხუთი გუნდით იქნება წარმოდგენილი. თავისთავად საგულისხმო ფაქტია, მაგრამ ვიდრე საჩემპიონო გუნდი არ გვეყოლება, ევროპული თასით „განებივრებულ“ გულშემატკივარს ძნელად თუ შემოირიგებ. „საჩემპიონო გუნდში“ მაინცდამაინც თბილისის „დინამოს“ არ ვგულისხმობ. არავის დაუკანონებია, რომ ყოველივე საუკეთესო დედაქალაქში იყოს თავმოყრილი. დემონოპოლიზაციისა და დეცენტრალიზაციის იდეა ფეხბურთშიც უნდა გავატაროთ და, ჩემი ღრმა რწმენით, ეს იქნება მეტად სასარგებლო აქცია, მათ შორის თბილისის „დინამოსთვისაც“, რომელსაც „უფროსი ძმის“ უფლებით ხშირად დაუმსახურებელ პრივილეგიებს ვანიჭებდით და ამით სტიმულს ვუკარგავდით პერიფერიებს. თუ ადრე საკითხის ამგვარად დასმას ვერიდებოდით, ახლა ჩვენს ფეხბურთში ვითარება შეიცვალა და ამის გაუთვალისწინებლობა არ გვარგებს. თბილისის „დინამო“ პროფესიული საფეხბურთო კლუბი გახდა, დამოუკიდებელი სამეურნეოანგარიშიანი კლუბის სტატუსი დაიმკვიდრეს „გურიამ“, ქუთაისის „ტორპედომ“, ბათუმისა და სოხუმის დინამოელებმა. ყველა ამ გუნდს შორის ურთიერთობას საფუძვლად უნდა დაედოს თანასწორუფლებიანობის პრინციპი, თითოეული მხარისათვის მისაღები და საერთო საქმისათვის სასარგებლო პარტნიორობა, ჯანსაღი კონკურენცია. ალბათ, აი, ამ პროცესების მართვას სჭირდება ის მექანიზმი, ზემოთ რომ ახსენე.

ე. ბერიშვილი: გეთანხმები, მაგრამ ჩემთვის და ალბათ ბევრი გულშემატკივრისთვისაც ძნელი წარმოსადგენია სატურნირო ცხრილი, სადაც, ვთქვათ, „გურია“ თბილისის „დინამოზე“ მაღლა იქნება. ძნელია ერთბაშად წლობით ჩამოყალიბებული შეხედულებებისა და სტერეოტიპებისაგან განთავისუფლება.

დ. კაკაბაძე: გულშემატკივარი კი არა, აგერ, ჩვენი ერთი ცნობილი მწვრთნელი მიმტკიცებდა, როგორ გეკადრებათ, როგორ დავუშვებ, რომ ჩემი გუნდი „დინამოზე“ წინ იყოსო. ამ დროს ყველას გვავიწყდება, რომ უგულებელყოფილია სპორტული პრინციპი, თავისუფალი არჩევანის უფლებას ვართმევთ ფეხბურთელს, რომელსაც, რა დასამალია, იქითკენ უჭირავს თვალი, სადაც უკეთეს პირობებს, მეტ ხელფასს სთავაზობენ. ნებისმიერ საფეხბურთო ქვეყანაში კლუბებს შორის, ფეხბურთელსა და კლუბს შორის ურთიერთობა ემყარება სამართლებრივ, ფინანსურ საფუძვლებს, კონტრაქტს. ჩემი პოზიციის გასამაგრებლად მხოლოდ ერთ მაგალითს მოვიყვან. მიონხენგლადბახი პატარა ქალაქია, მაგრამ დიდი გუნდი ჰყავს, გაცილებით ძლიერი, ვინემ დასავლეთ გერმანიის ბევრ დიდ ქალაქს. ამის გამო განგაში არავის აუტეხია და „ბორუსიის“ წამყვანი ფეხბურთელები იძულების წესით არ გამოუთხოვიათ... ჩვენთან ყველაფერი პირიქით ხდება. მაგალითად, თბილისის „დინამოს“ კლუბის ხელმძღვანელობას შეუძლია ხალხის გასაგონად დაიჩივლოს: ლანჩხუთში ფეხბურთელებს უკეთესი პირობები აქვთ და ამ მიზეზით ჩვენთან არავინ გადმოდისო. ადრე ლანჩხუთელებსაც და სხვებსაც იმას ვუსაყვედურებდით (სამართლიანადაც), ფეხბურთის განვითარებისათვის ცუდად რომ ირჯებოდნენ. საქმე გამოაკეთეს, გუნდი ფეხზე დააყენეს, მაგრამ ახლა, თურმე... მეტისმეტი მოუვიდათ.

ე. ბერიშვილი: ჩვენც მეტისმეტი არ მოგვივიდეს და... თბილისის „დინამოს“ მწვრთნელები არ მოვიმდუროთ. თანაც ვიცი, ყიფიანთან ახლო ურთიერთობა გაქვს.

დ. კაკაბაძე: ყიფიანთან უფრო ცხარე კამათიც მქონია. მთავარში ჩვენი პოზიციები ერთმანეთს ემთხვევა. ვგულისხმობ ქართულ ფეხბურთში რადიკალური სტრუქტურული ცვლილებების საჭიროებას. მართალია, ჩვენ ვაღიარეთ პროფესიული ფეხბურთი, მაგრამ, არსებითად, ბანკში კლუბის ანგარიშის გახსნის იქით საქმე არ წასულა. მესმის, რომ პროფესიონალიზმი ჩვენთვის ახალი რამაა და გამოცდილების შეძენას ერთი და ორი დღე არ ეყოფა, მაგრამ შეგვიძლია პროცესი დავაჩქაროთ და ამისთვის ძალები (თუ საქმემ მოითხოვა — ერთმანეთიც) არ უნდა დავზოგოთ. ალბათ, დაკვირვებიხარ: როცა გუნდში ახალი მწვრთნელი მოდის, საქმეს იმით იწყებს, რომ მიწასთან ასწორებს წინამორბედი მწვრთნელის ნამოღვაწარს. ეს პროფესიონალიზმი არ არის. არც ის არის პროფესიონალიზმი, როცა „მუნდირის ღირსების“ გადასარჩენად მწვრთნელი საეჭვო ზნეობრივ კომპრომისს კადრულობს [illegible] გუნდის [illegible] თამაშს ფეხბურთელთა — გამოუცდელობას, არახელსაყრელ კალენდარს, ტენდენციურ მსაჯობას და ათას სხვა მიზეზს აბრალებს. [illegible] მართალია, შეუძლია ერთი-ორი ქულა „მოგპაროს“, მაგრამ ჩემპიონატი ოცდაათი კალენდარული მატჩისაგან შედგება... საქმისადმი არაპროფესიონალური მიდგომა მგონია მწვრთნელის არჩევნებიც. დასავლეთის არც ერთ კლუბში მწვრთნელი ფეხბურთელებს არ დაუნიშნავთ. მას კლუბის დირექტორატი იწვევს, რადგან მწვრთნელი ფეხბურთელზე დამოკიდებული არ იყოს. ამ პრინციპებს თუ ვუღალატებთ და ვიღაცის თუ რაღაცის რიდით თვალს დავხუჭავთ, ჩვენში პროფესიული ფეხბურთის აღიარება არაფრისმომცემ დეკლარაციად დარჩება.

ე. ბერიშვილი: ბოლო დროს სპორტულ პრესაში საინტერესო დისკუსია გაჩაღდა. საკითხი ასე დგას: საერთოდ ხომ არ ვთქვათ უარი საკავშირო ჩემპიონატზე და ჩვენი საუკეთესო გუნდები ეროვნულ ჩემპიონატში ჩავაბათ. სპორტში დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა ეხმიანება საქართველოში გაშლილ ეროვნულ მოძრაობას და ყოველმხრივ მხარდაჭერას იმსახურებს. ფეხბურთის მესვეურები, საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით, ალბათ, მიიღებენ აწონ-დაწონილ გადაწყვეტილებას. ამ საკითხებთან დაკავშირებით „ლელოში“ ფეხბურთის მოყვარულთა ათეულობით წერილი დაიბეჭდა და არაერთი საყურადღებო მოსაზრებაც გამოითქვა. ერთიც არის: დისკუსია ცალმხრივია და საქმეს, ასე ვთქვათ, მხოლოდ ფეხბურთის თვალსაზრისით განიხილავს — ეროვნული ჩემპიონატი ავნებს თუ არგებს ჩვენს ფეხბურთს. იქნებ საკითხი ასე დაგვესვა: ეროვნული ჩემპიონატი ავნებს თუ არგებს ჩვენს ეროვნულ მოძრაობას? ჩემი ღრმა რწმენით, სწორედ ეს არის მთავარი და არსებითი.

დ. კაკაბაძე: პირადად მე მივესალმები ეროვნულ ჩემპიონატის გამართვის იდეას, მაგრამ არა მგონია, რომ ახლავე უნდა ვთქვათ უარი საკავშირო შეჯიბრებაზე (ჩემპიონატი, თასის გათამაშება). სპორტული თვალსაზრისით, ეს ნაბიჯი გაუმართლებელი იქნებოდა. აქსიომაა: რაც უფრო მაღალი კლასის მეტოქეებთან ასპარეზობ, მით უფრო მაღლდება შენი კლასიც. საკავშირო ჩემპიონატის გვერდის ავლით ჩვენი გუნდები, ჯერჯერობით, ევროპულ სარბიელზე გასვლას ვერ მოახერხებენ, ესე იგი, ქართული ფეხბურთი იზოლირებული აღმოჩნდება. ვითამაშოთ საკავშირო ტურნირებში, პარალელურად კი გავააქტიუროთ მუშაობა უეფასთან და სხვა საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებთან პირდაპირი კავშირის დასამყარებლად. ჩემი აზრით, ერთი მეორეს ხელს არ უშლის.

ე. ბერიშვილი: სხვა რამე შეგვიშლის ხელს. ის, რომ ჩვენ არა გვაქვს ავტორიტეტული, ბრძოლისუნარიანი საფეხბურთო ორგანიზაცია, რაზედაც უკვე ვილაპარაკე. დაქსაქსულია ჩვენი ძალები, რომელთა თავმოყრა საშური საქმეა. რამდენი ცნობილი ფეხბურთელი თუ მწვრთნელი, სხვადასხვა მიზეზით, განზე დგას და ჩამოშორებულია საფეხბურთო ცხოვრებას.

დ. კაკაბაძე: ჩვენ, სამწუხაროდ, ხშირად არ ვითვალისწინებთ წარსულის გაკვეთილებს, არადა ანდრო ჟორდანიასთან დაკავშირებული ამბები დღემდე გვაქვს სანანებლად. ვერავინ დამარწმუნებს, რომ 1976-1981 წლებში თბილისის „დინამოს“ გახმაურებული გამარჯვებანი მხოლოდ და მხოლოდ იმ თაობის ფეხბურთელთა ნიჭიერებამ და ოსტატობამ განაპირობა. მე, მაგალითად, ვერაფრით ავუხსენი ცნობილ ინგლისელ საფეხბურთო მიმომხილველს ბრაიან გლენვილს, ვერც „კიკერის“ გამომცემელს კარლჰაინც ჰაიმანს, რატომ აღმოჩნდა „თამაშგარე მდგომარეობაში“ მწვრთნელი, რომელსაც ევროპაში დღესაც შეუვალი ავტორიტეტი აქვს.

ე. ბერიშვილი: დელიკატურ საკითხს შევეხეთ, არადა, მგონი, ისედაც გაგვიგრძელდა საუბარი. ერთი რამ ცხადია: პიროვნების ბედს ვინმეს პირადი სიმპათია-ანტიპათია არ უნდა წყვეტდეს, და თუ მაინც ასე ხდება, საზოგადოებამ ხმა უნდა ამოიღოს.

ამჯერად ამით დავამთავროთ.

ვის ეკუთვნის იდეა?

„**დღეს** რესპუბლიკის ეკონომიკურ დამოუკიდებლობაზე დიდი სჯა-ბაასია გაჩაღებული. შეიძლება ვინმეს უმნიშვნელოდ მოეჩვენოს, მაგრამ მინდა ერთ გარემოებაზე გავამახვილო ყურადღება. მეორე წელია იმართება „სპორტპროგნოზის“ საკავშირო გათამაშება. საქართველოში ამგვარი „აზარტული“ თამაშების ბევრი მოყვარულია. დავინტერესდი და დავაზუსტე, რომ ჩვენს რესპუბლიკაში წლის მანძილზე 2,5 მილიონი მანეთის „სპორტპროგნოზის“ ბილეთი იყიდება. ამ თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი კი საკავშირო ფონდში რჩება. კარგი იქნება თუ „სპორტპროგნოზის“ რესპუბლიკურ გათამაშებას მოვაწყობთ და შემოსავალს მთლიანად ქართულ სპორტს მოვახმართ“.

ოლეგ კობერიძე (თბილისი).

ჩვენმა მკითხველმა საგულისხმო იდეა შემოგვთავაზა, რომელიც უკვე... ხორცშესხმულია. საქმე ის არის, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება (1989 წ. 30 აგვისტო, № 488) „ფეხბურთის პროგნოზის სპორტული ლატარიის გამართვის შესახებ“, დამტკიცებულია გათამაშების ძირითადი პირობებიც. საქართველოს ვაჭრობის სამინისტროს დაევალა საბაზრო ფონდიდან გამოყოს 10 ავტომობილი „ჟიგული“ მოგებახვედრილი ბილეთების მფლობელთათვის ურიგოდ მისაყიდად. მოგების ფონდად განისაზღვრა გავრცელებული ბილეთების საერთო ღირებულების 50 პროცენტი. როგორც დასახელებიდან ჩანს, ტირაჟში შეტანილი იქნება მხოლოდ საფეხბურთო მატჩების პროგნოზები, თანაც ის კალენდარული მატჩები, რომლებშიც ჩვენი რესპუბლიკის უმაღლესი და პირველი ლიგის გუნდები ითამაშებენ. „ფეხბურთის პროგნოზის“ გათამაშება გაისად დაიწყება.

საინტერესოა, რომ ამგვარი გათამაშების იდეა ეკუთვნის ასევე სპორტის გულშემატკივარს, ოზურგეთის რაიონის გურიანთის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს სერგო ტოტოჩავას. მან თავისი მოსაზრება გააცნო პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ რესპუბლიკურ საბჭოს, საბჭომ კი თავის მხრივ წინადადება შეიტანა მთავრობაში. სხვათა შორის, მინისტრთა საბჭოს დადგენილებით ფეხბურთის პროგნოზის სპორტული ლატარიის გამართვა სწორედ „შევარდენს“ დაევალა.

კალათბურთი

გამარჯვება ჩემპიონთან

კალათბურთი. თბილისის „დინამომ“ განმეორებითი მატჩი გამართა საბჭოთა კავშირის ჩემპიონთან — კიევის „ბუდეველნიკთან“ და გაიმარჯვა ანგარიშით 88:74 (46:36). ამ შეხვედრას პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა მასპინძელთათვის, რომლებიც წინა დღეს დამარცხდნენ და ახლა რევანშისთვის უნდა ეზრუნათ. პირველი წუთებიდანვე გამოჩნდა, რომ ჩვენი გუნდი საბრძოლველად იყო განწყობილი და ამჯერად იოლად არაფერს დათმობდა. დინამოელებმა ტაიმი 10 ქულის უპირატესობით მოიგეს, შესვენების შემდეგ კი უფრო დაწინაურდნენ და საქმე გამარჯვებამდე მიიყვანეს. ჩემპიონატში 39 ქულით ლიდერობენ მოსკოველი არმიელები.

კოოპერატორთა რესპუბლიკური საბჭოს და სარევიზიო კომისიის წევრთა საყურადღებოდ

საქართველოს სსრ წარმოებისა და მომსახურების სფეროს კოოპერატორთა რესპუბლიკური საბჭო მოწვეულია 1989 წლის 27 დეკემბერს ქ. თბილისში, პროფკავშირის შენობაში. გრიბოედოვის ქ. № 19. დილის 10 საათზე.

რეგისტრაცია დაიწყება 9 საათიდან.

გამგეობა.

რედაქტორი
ნ. ჩერქეზიშვილი.

ტელევიზია — კვირა, 24 დეკემბერი

თბილისი

პირველი პროგრამა. 10.30 — კინოაფიშა. 11.00 — საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის. 11.30 — კინომოზაიკა. 12.15 — საკვირაო გამოფენა. გელათის კედლის მხატვრობა. 12.20 — ქართული ხალხური სიმღერის გაკვეთილი. 12.50 — საკვირაო გამოფენა. გელათის კედლის მხატვრობა. 12.55 — სატელევიზიო ჟურნალი „ივანანა“. 13.55 — „ვესტნიკი“. 14.55 — ხალხური შემოქმედება. თიანეთის ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის კონცერტი. 15.00 — „მამული, ენა, სარწმუნოება“. გადაცემა მეექვსე. „სარწმუნოება და ცხოვრება“. 15.50 — საკვირაო გამოფენა. გელათის კედლის მხატვრობა. 15.55 — „თბილისი და თბილისელები“. სატელევიზიო ჟურნალი. 16.35 — „იურმალა-90“. რესპუბლიკური ტური. 17.40 — „რამდენიმე სიუჟეტი კინოს თემაზე“. 18.30 — „ქართული ფოლკლორი უცხოეთში“. 19.00 — საერთაშორისო პანორამა. 19.45 — ძილისპირული. 20.00 — საქართველოს ჩემპიონატი კალათბურთში. ფინალი. საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. 20.30 — მოამბე. 21.20 — საუნჯე. „სუნთქვა გარდასულ დღეთა“. 22.00 — „შვიდი დღე“. 23.00 — ხალხური შემოქმედება. „რაღაც უნდა გადარჩეს“. 23.30 — სცენები მუსიკალური სპექტაკლებიდან (მონაწილეობენ მსოფლიოს გამოჩენილი მომღერლები).

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 9.20 — რიტმული ტანვარჯიში. 9.50 — „სპორტლოტოს“ ტირაჟი. 10.00 — დილაადრიან. 11.00 — ვემსახურები საბჭოთა კავშირს! 12.00 — დილის გასართობი პროგრამა. 12.30 — „მსოფლიოს გარშემო“. 13.30 — ზღაპრებისა და თავგადასავლების სამყაროში. 15.00 — მუსიკალური კიოსკი. 15.30 — ღია კარის დღე. 16.15 — „თვალსაზრისი“ საკვირაო გამოშვება. 17.15 — მულტფილმი. 17.35 — „ცისარტყელა“ (ფინეთი). 18.00 — სოფლის საათი. 19.00 — საერთაშორისო პანორამა. 20.25 — მხატვრული ფილმი „ვეძებ ადამიანს“. 22.00 — „7 დღე“. 23.00 — საკვირაო ზნეობრივი ქადაგება. 23.10 — „მშვენიერია მოსკოვ-ქალაქი“. მე-5 ფილმი. 23.40 — საფეხბურთო მიმოხილვა. 0.20 — საესტრადო პროგრამა.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — საფორტეპიანო კონცერტი. 9.40 — მულტფილმები. 10.05 — დოკუმენტური ფილმი „ციკლიდან „ჩვენი საწუხარი დედამიწა“. 10.35 — გადაცემა ელისტიდან. 11.35 — ყირგიზეთის სახტელერადიო. ხალხური ეთნოგრაფიული ანსამბლის „კამპარაკანის“ კონცერტი. 12.05 — ახალი ამბები. 12.15 — სუბტიტრებიანი მხატვრული ფილმი „ედგარი და კრისტინე“. 13.40 — კამერული კონცერტი. ა. შნიტკეს ნაწარმოებები. 14.50 — ვიმეორებთ თქვენი თხოვნით. ამერიკის ტი-ბი-ესის კომპანიის სალამო საბჭოთა ტელევიზიაში. 17.40 — ბერლინის სიმფონიური ორკესტრის კონცერტი (გდრ-ის ტელევიზია). 18.00 — ახალი ამბები. 18.10 — ბურთიანი ჰოკეი. მოსკოვის „დინამო“ — კრასნოგორსკის „ზორკი“. 19.00 — ფიგურული ციგურაობა. საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი. 19.40 — ჩვენი ქვეყნის მუსიკალური თეატრები. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!“. 21.15 — „თუ თქვენ გადასცდით...“. 22.00 — „7 დღე“. 23.00 — მხატვრული ფილმი. 0.25 — ეს მსოფლიოს აწუხებს.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 07195 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის ქ. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14